# საქართველოს უნივერსიტეტი
საქართველოს უნივერსიტეტი

2023
2024

საქართველოს უნივერსიტეტი
საქართველოს უნივერსიტეტი

# რატომ საქართველოს უნივერსიტეტი ?

საერთაშორისო ორგანიზაცია ვებომეტრიქსის წლის კვლევის თანახმად, რომელიც მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგს ყოველწლიურად იკვლევს სამეცნიერო წარმატების და მათი ონლაინ რესურსების გავლენიანობის კუთხით, საქართველოს უნივერსიტეტი რეიტინგით პირველ ადგილზეა ქვეყნის კერძო უნივერსიტეტებს შორის და უნივერსი-ტეტების ტოპ ათეულში - რეგიონის მასშტაბით. დღეის მდგომარეობით, საქართველოს უნივერსიტეტში 6000-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს სამივე საგანმანათლებლო საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) აკრედიტირებულ პროგრამებზე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი.




უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიო-ნალებისაგან შემდგარ გუნდს წარმოადგენს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი.

საქართველოს უნივერსიტეტის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამიტომ, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მოთხოვნადია თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.





## აირჩიე ვინ გინდა რომ გამოხვიდე

## ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ქართული ფილოლოგია (საბაკალავრო/სამაგისტრო)
ინგლისური ფილოლოგია (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო)
აღმოსავლეთმცოდნეობა (საბაკალავრო)
ისტორია (საბაკალავრო/სადოქტორო)
ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო)
არქეოლოგია (საბაკალავრო/სამაგისტრო)
არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო)
ინგლისური ფილოლოგია (ინგ) (საბაკალავრო)
საქართველოს ისტორია (სამაგისტრო)
განათლების ადმინისტრირება (ინგ) (სამაგისტრო)

1-7

## მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა

ინფორმატიკა (საბაკალავრო/სამაგისტრო)
მათემატიკა (საბაკალავრო/ სადოქტორო)
ინჟინერია (ინგ) (საბაკალავრო)
ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგ) (საბაკალავრო)
ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი (სამაგისტრო)
ინფორმაციული ტექნოლოგიები (ქართ/ინგ) (სამაგისტრო)
ბლოკჩეინი-დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემები (სამაგისტრო)
წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა (სამაგისტრო)
ფიზიკა (სადოქტორო)
კომპიუტერული მეცნიერებები (სადოქტორო)
გამოყენებითი მეცნიერებები (სამაგისტრო)

8-16

## სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

პოლიტიკის მეცნიერებები (საბაკალავრო/სადოქტორო)
ჟურნალისტიკა (საბაკალავრო)
სტრატეგიული კომუნიკაციები (PR) (საბაკალავრო)
საერთაშორისო ურთიერთობები (საბაკალავრო)
ფსიქოლოგია (საბაკალავრო)
გამოყენებითი ფსიქოლოგია (სამაგისტრო)
რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა (სამაგისტრო)
გლობალური და უსაფრთხოების სწავლებები (სამაგისტრო)
მასობრივი კომუნიკაცია (სადოქტორო)

17-23

## სამართლის სკოლა

სამართალმცოდნეობა (საბაკალავრო/სადოქტორო)
სამართალი (სამაგისტრო)
სამართალი და ეკონომიკა (სამაგისტრო)
საერთაშორისო ბიზნეს სამართალი (ინგ) (სამაგისტრო)

24-28

## ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგ) (საბაკალავრო/სამაგისტრო)
ეკონომიკა (საბაკალავრო)
ტურიზმი (საბაკალავრო)
საჯარო მმართველობა (საბაკალავრო/სამაგისტრო)
ბიზნეს ანალიტიკა (საბაკალავრო პროგრამა)
ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია (სამაგისტრო პროგრამა)
ბიზნესის ადმინისტრირება (სადოქტორო)

29-34

## ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

ჯანდაცვის ადმინისტრირება (საბაკალავრო/სამაგისტრო)
საექთნო საქმე (ქართ/ინგ) (საბაკალავრო)
ფარმაცია (ქართ/ინგ) (საბაკალავრო)
ფარმაციის მენეჯმენტი (სამაგისტრო)
საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა (სამაგისტრო)
ფარმაცია (სამაგისტრო)
სტომატოლოგია (ინგ) (ერთსაფეხურიანი)
მედიცინა (ინგ) (ერთსაფეხურიანი)
საზოგადოებრივი ჯანდაცვა (სადოქტორო)

35-41

# ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა



ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა



# თამუნა ლეკიაშვილი

## საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„ცოდნა არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ შეცვალოთ სამყარო. შეცვალოთ თქვენი ქვეყნის მომავალი და გახდეთ ღირსეული მოქალაქე. ხოლო, იყო შენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იცოდე შენი ქვეყნის ისტორია."

პროფესორი თამუნა ლეკიაშვილი საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეული მკვლევარი და ლექტორია. იგი უძღვება მსოფლიო ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურსს. თამუნა საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საბაკალავრო პროგრამის პირველი მიღების კურსდამთავრებულია. ამავე უნივერსიტეტში გაიარა უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებიც და 2013 წელს მიენიჭა საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ხოლო 2018 წელს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. თამუნა ლეკიაშვილი სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებსა და გრანტებში. არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. მისი ინტერესის სფერო საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდია.

# მარიამ ხოშტარია

## ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

„საქართველოს უნივერსიტეტი ჩემთვის ასოცირდება ხარისხიან განათლებასთან, კომფორტულ გარემოსა და სტუდენტებისთვის შექმნილ მრავალ შესაძლებლობასთან."



საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებს და დაწესებული აქვს სტიპენდიები. 2019 წელს გავხდი სარა ბენ შემეშის სახელობის განათლების ფონდის (ისრაელი) სტიპენდიანტი, რამაც საშუალება მომცა 2019 წლის აგვისტოში სასწავლო ვიზიტით, საქართველოს უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად, ვწვეოდი ვარშავასა და კრაკოვს (პოლონეთი).

საქართველოს უნივერსიტეტი ორიენტირებულია, რომ თითოეული სტუდენტი პროფესიულად განვითარდეს და იყოს კონკურენტუნარიანი. მე ვარ უფრო მოტივირებული და მიზანდასახული."

# პროგრამები



- ქართული ფილოლოგია (საბაკალავრო/სამაგისტრო)
- ინგლისური ფილოლოგია (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო)
- აღმოსავლეთმცოდნეობა (საბაკალავრო)
- ისტორია (საბაკალავრო/სადოქტორო)
- ხელოვნებათმცოდნეობა (საბაკალავრო)
- არქეოლოგია (საბაკალავრო/სამაგისტრო)
- არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი (საბაკალავრო)
- ინგლისური ფილოლოგია (ინგ) (საბაკალავრო)
- საქართველოს ისტორია (სამაგისტრო)
- განათლების ადმინისტრირება (ინგ) (სამაგისტრო)

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა ამზადებს თანამედროვე, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულ სპეციალისტებს ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ინტერდისციპლინური სწავლება,თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება, პრაქტიკა და საველე კვლევები, მათ შორის უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მეშვეობით, ენების სასწავლო ლაბორატორია, ენების სწავლებაში უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობა, საუკეთესო აკადემიური პერსონალი, დამატებითი სპეციალობების ფართო სპექტრი განაპირობებს კურსდამთავრებულის კონკურენტულობას შრომის ბაზარზე და ზრდის მისი დასაქმების არეალს. თითოეულ საბაკალავრო პროგრამას აქვს დამატებითი სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ცალკეულ მიმართულებებზე სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგანთა კონცენტრაცია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში (არქეოლოგიისა და ხელოვნებათ-მცოდნეობის პროგრამები).

## ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კურსდამთავრებულს აძლევს ისეთ ცოდნას, რომ მან შეძლოს წარმატებული სამსახურეობრივი კარიერის შექმნა; უზრუნველყოფს მას ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნით; უვითარებს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარს; ასწავლის ქართული ენის სტრუქტურასა და ისტორიას; აძლევს ინგლისური ენის ცოდნას წარმატებული კომუნიკაციისთვის; ეხმარება სიღრმისეულად გაიაზროს ქართული ლიტერატურა და კულტურა ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.

## ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

უზრუნველყოფს ინტერდისციპლინური ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებას არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ მომიჯნავე სფეროებშიც. პროგრამის კურსდამთავრებული იქნება კვალიფიციური, ერთი მხრივ, ზოგად ჰუმანიტარული სააზროვნო სივრცისათვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალი, მეორე მხრივ, ეფექტური ინგლისურენოვანი კომუნიკატორი, რომლის ენობრივი კომპეტენციაც მოიცავს როგორც ზოგადი, ისე პროფესიულ-დარგობრივი ენებით (ბიზნესი, პოლიტიკა, სამართალი) ოპერირების უნარს.

## აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის (არაბული/სპარსული/თურქული ენები)

მიზანია, მოამზადოს პროფესიონალი აღმოსავლეთმცოდნე / რეგიონმცოდნე, ახლო აღმოსავლეთის სამი ძირითადი ენიდან (არაბული, სპარსული, თურქული) ერთ-ერთის კვალიფიციური ცოდნით; მისცეს მას საფუძვლიანი ცოდნა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ისტორიის, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური სისტემებისა და კულტურის შესახებ; რეგიონის ქვეყნების თავისებურებების, ერთმანეთთან და საქართველოსთან ურთიერთობის ისტორიული დინამიკის, თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

## ისტორიის საბაკალავრო პროგრამა (საქართველოს/მსოფლიოს)

ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს ისტორიის მეცნიერებებში, აძლევს მას ფართო ცოდნას საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით.აყალიბებს მაღალი სოციალური ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეს, რომელიც მზად იქნება განსხვავებული კულტურების გაგებისა და პატივისცემისათვის; მოქნილ ინდივიდს ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით.

## ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

ხელს უწყობს ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, შენარჩუნებასა და წარმოჩენას, კვალიფიციური, მაღალი კომპეტენციისა და პროფესიული უნარების მქონე ხელოვნებათმცოდნის მომზადებით; მას ექნება ის უნარ-ჩვევები, რომელთა გარეშე დღეს შეუძლებელია ხელოვნების ნიმუშთა კვლევის სფეროში წარმატების მიღწევა.

## არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის

მიზანია, მოამზადოს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიულ / პრაქტიკული უნარების მქონე არქეოლოგი, რომელსაც შეეძლება კვლევის თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, შენარჩუნება, წარმოჩენის სფეროში წვლილის შეტანა და წარმატების მიღწევა.

## არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის

მიზანია აღზარდოს პრობლემის კონცეპტუალური გადაწყვეტილების, დარგის ისტორიულ კონტექსტში გააზრების, შემოქმედებითი, სივრცული აზროვნებისა და პროფესიული პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების უნარის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება არქიტექტურის და დიზაინის საფუძვლების, არსის, განვითარების კანონზომიერებების და პროექტირების მთავარი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა.

## ინგლისური ფილოლოგიის (ინგ) საბაკალავრო პროგრამა

მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, ჰუმანიტარული აზროვნების, ინგლისურენოვანი ეფექტური კომუნიკაციისათვის აუცილებელი კომპეტენციის მქონე პროფესიონალთა ჩამოყალიბებას. პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული კომპეტენციები კურსდამთავრებულს აძლევს დასაქმების შესაძლებლობას გამომცემლობებში, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემასა და იმ კომპანიებში, სადაც მაღალი მოთხოვნაა ინგლისურენოვან პროფესიონალ კომუნიკატორზე. შრომითი ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური ენის სწავლებისათვის საჭირო კომპეტენციათა ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული საგნები.

## არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს არქეოლოგიაში, აძლევს მას საფუძვლიან ცოდნას საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და მსოფლიოს უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლებისა და კულტურების შესახებ, ასევე უვითარებს უნარებს არქეოლოგიური ექსპედიციის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მართვისა და მიღებული შედეგების პროფესიონალურად წარმოჩენისათვის. გარდა ამისა, პროგრამა მაგისტრანტს ამზადებს შემდგომი აკადემიური საფეხურისათვის - დოქტორანტურისათვის და ხელს უწყობს მას პროფესიონალ არქეოლოგად ჩამოყალიბებაში.

## ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის

მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება. პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მარაგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მაღალ კომპეტენციას როგორც ენის ფილოლოგიურ, ისე გამოყენებით ასპექტებში. პროგრამა ამზადებს ფილოლოგს, რომელიც შეძლებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას კულტურათა დიალოგისა და საქართველოს ინგლისურენოვან ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესში. პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევათა ფორმირებაზე ორიენტირებული საგნები მნიშვნელოვნად აფართოებს ფილოლოგის კომპეტენციას და ზრდის აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულის წარმატების შანსებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

## საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

ამზადებს მაღალკვალიფიციურ, პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტს, რომელსაც აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან დღემდე; ქართულ და უცხოენოვან წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობისა და კვლევის დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდოლოგიით განხორციელებისათვის, ასევე, მულტიდისციპლინურ გარემოში ქმედებისათვის საჭირო უნარ - ჩვევები.

## ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ამზადებს მაღალკვალიფიციურ მაგისტრს ქართულ ფილოლოგიაში (ენა და ლიტერატურა); პროგრამის კურიკულუმი და გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა კურსდამთავრებულს უყალიბებს იმ პროფესიულ კომპეტენციებსა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს, რომლებიც დღეისათვის მოთხოვნადია ბაზარზე და, შესაბამისად, უზრუნველყოფს მათ დასაქმებას.

# საინტერესო, რთული და დამაფიქრებელი დისციპლინების პირისპირ








## განათლების ადმინისტრირების (ინგ) სამაგისტრო პროგრამის

მიზანია სტუდენტს მისცეს საგანმანათლებლო სისტემის მართვის, ლიდერობის, პედაგოგიური საკითხებისა და გამოწვევების შესახებ თანამედროვე ცოდნა და პროფესიული უნარები, რათა მან შეძლოს განათლების სფეროს მართვის გლობალური ხედვა; მისცეს მას საშუალება გააცნობიეროს და გააკრიტიკოს საგანმანათლებლო სფეროს მართვის თეორიები და პრაქტიკა თანამედროვე კვლევებისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით.

## ისტორიის (საქართველოს/მსოფლიო/ახლო აღმოსავლეთის) სადოქტორო პროგრამა

ამზადებს, ისტორიის სხვადასხვა სფეროში (საქართველოს/მსოფლიოს/ახლო აღმოსავლეთის), მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტს, როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის შრომით ბაზარზე, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი მკვლევარისა და ინოვაციური სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა განხორციელებისათვის, მულტიკულტურულ გარემოში სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; შეეძლება ასწავლოს დარგის სხვადასხვა დისციპლინები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში.

## ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

მიზნად ისახავს ინტერდისციპლინარული, ფუნდამენტური, დარგის უახლეს მიღწევათა ცოდნით აღჭურვილი, სამეცნიერო კვლევისა და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საჭირო კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს, ერთი მხრივ, ლინგვისტური აზროვნების სხვადასხვა პარადიგმათა ჭრილში ენის სიღრმისეულ კვლევას და კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა ღრმა და საფუძვლიან გაანალიზებას, მეორე მხრივ კი, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაზიარებას.

# რესურსები რესურსები

## ირანის კაბინეტი

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ხელშეწყობით მოწყობილი თანამედროვე სასწავლო / სამეცნიერო ლიტერატურითა და ირანული სატელევიზიო არხების ყურების შესაძლებლობით აღჭურვილია ირანის კაბინეტი, სადაც ირანისტიკის მიმართულების სტუდენტებს შეუძლიათ ქვეყნის შესახებ ცოდნისა და სპარსული ენის ფლობის ხარისხის სრულყოფა.

## თურქოლოგიის კაბინეტი

თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ხელშეწყობით აღჭურვილი კაბინეტი და თურქულენოვანი ბიბლიოთეკა, რომელიც აკადემიურ პერსონალს და თურქული ენის შემსწავლელ სტუდენტებს უქმნის კომფორტულ გარემოს თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობისა და ცოდნის სრულყოფის შესაძლებლობას.

## არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი

ახალი რესურსი - "არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი", რომელიც ახორციელებს აქტიურ და ეფექტურ ქმედებებს არქეოლოგიური მიმართულების პოპულარიზაციისა და კომერციალიზაციისთვის. ცენტრმა უკვე მოამზადა ტურები საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ბაზაზე სამშვილდესა და ქვეყნის სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში და მსურველებს (ქართველი და უცხოელი) სთავაზობს ორგანიზებულ არქეოლოგიურ ტურებს და არქეოლოგიის საზაფხულო სკოლას ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით.

## სარა ბენ შემეშის სახელობის ისრაელის კვლევის ცენტრი

2019 წლის 1 მაისს ისტორიის დეპარტამენტში გაიხსნა სარა ბენ შემეშის სახელობის ისრაელის კვლევის ცენტრი, რომლის მიზანია: ისრაელის ისტორიის, საზოგადოების, ენის, კულტურის შესწავლა და კვლევა; ქართულ საზოგადოებაში ისრაელის შესახებ ინტერესის სტიმულირება, ინფორმაციის გავრცელება და მხარდაჭერა. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და ისრაელში არსებულ უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა ინსტიტუციებთან, რაც გამოიხატება ერთობლივი პროექტებითა და ღონისძიებებით, ასევე, ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების ვიზიტით ისრაელში.

## არქეოლოგიის გამოფენა/მუზეუმი

საუნივერსიტეტო მუზეუმის ოფიციალური სტატუსის მქონე არქეოლოგიური გამოფენა და ფონდსაცავი, სადაც ხდება სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების დაცვა, მომზადება საექსპოზიციოდ და გამოფენა სამუზეუმო სივრცეში. ამავდროულად, მუზეუმი/გამოფენა გამოიყენება შესაბამისი სპეციალობის სტუდენტების პროფესიული უნარების განსავითარებლად(მასალის დამუშავება, შესაბამისი ტექსტების მომზადება, გამოფენის ორგანიზება) და ხელს უწყობს მათი პროფესიულ/პრაქტიკული ჩვევების გაძლიერებას.

## უნივერსიტეტის არქეოლოგიური ბაზა და ექსპედიცია

სამშვილდის ტერიტორიაზე უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი არქეოლოგიური ბაზა, სადაც შესაძლებელია საველე მუშაობაში ჩართული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის განთავსება, ასევე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის პირველადი დამუშავება. უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია უზრუნველყოფილია უახლესი ევროპულ-ამერიკული არქეოლოგიური იარაღ-ხელსაწყოებითა და საველე მუშაობისათვის აუცილებელი ყველა პირობით. არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს სამშვილდის ნაქალაქარის მეცნიერულ კვლევას შესაბამისი მიმართულების (არქეოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ტურიზმი) სტუდენტების მონაწილეობით და წარმოადგენს მათი პროფესიულ-პრაქტიკული უნარების სრულყოფის მნიშვნელოვან ბაზას.

## UG ARCHIPROJECT

საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედი არქიტექტურული, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინზე მომუშავე კომპანია, რომელიც მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ დამკვეთისგან მიღებულ შეკვეთებს პროგრამის სტუდენტები ახორციელებენ, რომლებსაც მენტორობას არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის ლექტორები უწევენ.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა



მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა



# აკაკი შელია

## მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის მოწვეული ლექტორი

„ჩვენ, როგორც კიბერუსაფრთხოების ლიდერებმა, უნდა დავამტკიცოთ, რომ  უსაფრთხოება არის კულტურა და ბიზნესი ამ კულტურის ნაწილი უნდა იყოს. რეპუტაციის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება და მის გაფუჭებას კი, კიბერ-ინციდენტის რამდენიმე წუთი."

აკაკის აქვს რამდენიმეწლიანი წარმატებული სამუშაო გამოცდილება გლობალურ კორპორაციებში IT უსაფრთხოების, შესაბამისობის, კიბერუსაფრთხოების ოპერაციების, ინციდენტების რეაგირებისა და დაუცველობის მენეჯმენტის სფეროში. მთელი თავისი კარიერის განმავლობაში, აკაკი გამოცდილებას იღებდა საბანკო ინდუსტრიაში. 2016 წლიდან მუშაობდა IBM-ში უსაფრთხოების მრჩეველად, სადაც ხელმძღვანელობდა რეგიონულ უსაფრთხოების ოპერაციებს EMEA რეგიონში. აკაკიმ შესანიშნავი ანალიზით, მენეჯმენტითა და უსაფრთხოების სხვა სერვისებით უზრუნველყო ისეთი კომპანიები, როგორიცაა Royal Bank of Canada, Belfius Bank, Deutsche Bank და სხვები.

დღეს აკაკი არის პროგრამის მენეჯერი Cisco-ში, რომელიც ხელმძღვანელობს და მართავს კიბერუსაფრთხოების საგამოცდო ხაზებს.

# დავით გიგილაშვილი

## ინფორმატიკის პროგრამის კურსდამთავრებული

„საქართველოს უნივერსიტეტი 2015 წელს დავამთავრე ინფორმატიკის ბაკალავრის ხარისხით და სწავლა ერასმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამაზე განვაგრძე, ფერთა მეცნიერებისა და ვიზუალური გამოსახულების დამუშავების სპეციალობით. ამ პროგრამის ფარგლებში ვისწავლე საფრანგეთში, ესპანეთსა და ნორვეგიაში, ხოლო სტაჟირება გავიარე იაპონიაში - ოლიმპუსის კორპორაციაში და აშშ-ში, ვაშინგტონის უნივერსიტეტში."



ხუთი ქვეყნის აკადემიური და სამეცნიერო კულტურის გაცნობამ საბოლოოდ გადამაწყვეტინა, რომ ჩემი მომავალი მეცნიერებასთან დამეკავშირებინა - მეკეთებინა ის საქმე, რომელიც მაინტერესებს, პროფესიულ ცნობისმოყვარეობას მიკმაყოფილებს და სიამოვნებას მანიჭებს. ამიტომ, სამაგისტროს დასრულებისთანავე დავბრუნდი ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (NTNU) და სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა დავიწყე, რომელიც გასულ ზაფხულს დავიცავი.

სადოქტოროს ფარგლებში ვთანამშრომლობდი იელის უნივერსიტეტის კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორიასთან, სადაც 3 თვით მიწვეული ასისტენტ-მკვლევარის სტატუსით ვიმყოფებოდი. ამჟამად NTNU-ში კოლეგებთან ერთად ადამიანის მიერ ვიზუალური გამოსახულების აღქმის თავისებურებებს ვიკვლევ. პროექტის ფარგლებში ვთანამშრომლობთ რამდენიმე ქვეყნის (აშშ, იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი) კვლევით ცენტრებთან. პარალელურად ვკითხულობ ლექციებს ვიზუალური გამოსახულების აღქმისა და კომპიუტერული გრაფიკის შესახებ."

# პროგრამები

- ინფორმატიკა (საბაკალავრო/სამაგისტრო)
- მათემატიკა (საბაკალავრო/ სადოქტორო)
- ინჟინერია (ინგ) (საბაკალავრო)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგ) (საბაკალავრო)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ქართ/ინგ) (სამაგისტრო)
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი (სამაგისტრო)
- ბლოკჩეინი-დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემები (სამაგისტრო)
- წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა (სამაგისტრო)
- ფიზიკა (სადოქტორო)
- კომპიუტერული მეცნიერებები (სადოქტორო)
- გამოყენებითი მეცნიერებები (სამაგისტრო)



მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა გთავაზობთ ცოდნის მიღებას თანამედროვე კომპიუტერული, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიისა და ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართულებებით. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შეისწავლონ დაპროგრამირების ენები, ვებ-პროგრამირება, კომპიუტერული ქსელები, მონაცემთა ბაზები, ხელოვნური ინტელექტისა და ჭკვიანი მოწყობილობების შექმნისა და გამოყენების, ინფორმაციის დამუშავების გადაცემისა და მიღების საკითხები. განივითარონ მეცნიერული ანალიზისა და ინოვაციური აზროვნების უნარები. სასწავლო პროგრამებში ინტეგრირებულია საერთაშორისო სასწავლო აკადემიის პროგრამები Microsoft, Apple, Cisco, Oracle, Microtik, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ საერთაშორისო სერტიფიკატები.

## ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის

ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან უმაღლესი მათემატიკისა და ფიზიკის საფუძვლებს, დაპროგრამირების ენებს (C++, C#, Java, Phyton), ოპერაციულ სისტემებს (Windows, Linux, Android, IOS), საოფისე სისტემებს, კომპიუტერის არქიტექტურას, კომპიუტერულ ქსელებს (Cisco, MikroTik), მონაცემთა ბაზების სისტემებს (Oracle, MS SQL), ვებ –ტექნოლოგიების, გეოინფორმაციული სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მენეჯმენტის, მობილური აპლიკაციებისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებს. პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ და განივითარონ თანამედროვე კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: კომპიუტერის პროგრამულ და აპარატურულ ნაწილებთან მუშაობა, პროგრამული კოდის შექმნის, კომპიუტერული ქსელის დაგეგმარებისა და მართვის, მონაცემთა ბაზებთან მუშაობის, ვებ-გვერდების შექმნის, საინფორმაციო ტექნოლოგიებში სერვისისა და უსაფრთხოების მართვის ამოცანების გადაწყვეტის უნარები.

## მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის

მიზანია სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა კლასიკური და თანამედროვე მათემატიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა: მათემატიკური ანალიზი, ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები, წრფივი და აბსტრაქტული ალგებრა, ანალიზური გეომეტრია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მათემატიკური ლოგიკა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტუდენტმა მიიღოს დაპროგრამების საფუძვლების, საოფისე სისტემების, კომპლექსური ანალიზის, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის, ოპტიმიზაციის მეთოდების, რიცხვითი მეთოდებისა და მათემატიკური მოდელირების საფუძვლების ცოდნა.

## ინჟინერიის (ინგ) საბაკალავრო პროგრამა

აერთიანებს კომპიუტერული და ელექტრონული ინჟინერიის კონცენტრაციებს. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარები კომპიუტერული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით. პროგრამა მოიცავს უმაღლესი მათემატიკისა და ზოგადი ფიზიკის კურსებს, პროგრამირების საფუძვლებს, კომპიუტერული ქსელების (Cisco CCNA კურსებს), მობილური კომუნიკაციისა და ანტენების საფუძვლებს, რობოტოტექნიკის საფუძვლებს. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომ წარმატებით დასაქმდეს ნებისმიერ კერძო და სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება თანამედროვე ტელე - საკომუნიკაციო,კომპიუტერული, ქსელური ინფრასტრუქ-ტურის პროექტირებისა და მართვის ცოდნა და უნარები.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების (ინგ) საბაკალავრო პროგრამაზე

სწავლა შეუძლიათ როგორც უცხოელ, ასევე ქართველ სტუდენტებს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი თანამედროვე კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, კურსდამთავრებულს მისცეს კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაბამისი თეორიების ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მისცეს უმაღლესი მათემატიკის და ფიზიკის საფუძვლების, კომპიუტერის არქიტექტურის, კომპიუტერული ქსელის, მონაცემთა ბაზის, ვებ-ტექნოლოგიების, გეოინფორმაციული სისტემის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის, ხელოვნური ინტელექტისა და კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ცოდნა. ასევე, პროგრამის მიზანია სტუდენტს განუვითაროს თანამედროვე კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეიძლებენ დასაქმდნენ კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში მონაცემების კომპიუტერული დამუშავებისა და პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ქსელის, კიბერ უსაფრთხოების, მობილური აპლიკაციებისა და თამაშების შექმნის სპეციალისტებად და ვებ-დიზაინერებად. პროგრამაში ინტეგრირებული საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსები, როგორიცაა Cisco, Microsoft, Oracle, სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საერთაშორისო დოკუმენტები.





## ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაზე

სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა შემდეგ საკითხებში: ბიზნესის ანალიზისა და ინტელექტუალური მართვის ტექნოლოგია მონაცემთა საცავებში (Oracle, MS SQL warehouse), Web პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი (Ruby), IT პროექტების მართვა (PMBOK), ინდუსტრიულ პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი („JAVA EE“), ERP სისტემები, კომპიუტერული ქსელები (CISCO CCNP), ციფრული ინფორმაციის სამართალი, მობილურ პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი (Android, IOS), ArcGIS სისტემები, რთული სისტემების ლოგიკურ-ალბათური მოდელირება, IT სერვისების მმართველობაში (COBIT, ITIL) და ხელოვნური ინტელექტის დარგში. კურსდამთავრებულები შეძლებენ კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებას და ექნებათ შესაბამისი მიმართულებით დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა. პროექტირებისა და მართვის ცოდნა და უნარები.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ერთადერთია საქართველოში, რომლის დასრულების შემდეგაც სტუდენტს ექნება „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ კვალიფიკაცია. პროგრამის მთავარი მიზანია მოამზადოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც იქნება კონკურენტ-უნარიანი და შეძლებს თანამედროვე გამოწვევებზე პასუხის გაცემას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს: ეფექტურად დაგეგმოს თავისი საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში, გააცნობიეროს ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემებისა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიის რეალური პოტენციალი. ასევე, შეძლებს განსაზღვროს თუ რა კიბერშეტევების წინაშე შეიძლება დადგეს ორგანიზაცია და რა იქნება ყველაზე ეფექტური გზა იმისათვის, რომ რისკი მაქსიმალურად იქნეს აცილებული. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ კვლევით დაწესებულებებში, ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერები, პროგრამისტები, ქსელისა და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორები.

# გლობალური წინსვლის პირისპირ

გლობალური წინსვლის პირისპირ

## ინფორმაციული ტექნოლოგიების (ქართ/ინგ) სამაგისტრო პროგრამაზე

ქართველი და უცხოელი სტუდენტები მიიღებენ სიღრმისეულ ცოდნასა და გამოცდილებას საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში კვლევისა და განვითარებისათვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსები მოიცავს კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებს (Cisco CCNP სერტიფიკატი), ვებ და ქსელურ პროგრამირებას, მონაცემთა ბაზებს (Oracle სერტიფიკატი), მობილურ აპლიკაციებს, ERP სისტემებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებში ლოგიკურ-ალბათურ და გრაფიკული გარდაქმნების მეთოდებს. სხვადასხვა არჩევითი კურსები სტუდენტს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს კომუნიკაციის უნარი, შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად კვლევაზე დაფუძნებული დასკვნების გაკეთების ჩვევები, რათა წარმატებით გაუმკლავდეს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებულ იმ პრობლემებს, რომლებიც სხვადასხვა პრინციპებისა და პროცესების სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვენ. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ კვლევით დაწესებულებებში, ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორც IT მენეჯერი, ვებ, ქსელის ან მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორები.

## ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის

მიზანია როგორც ლოკალური, ასევე გლობალური ბაზრისთვის თანამედროვე, კონკურენტუნარიანი, მაღალი რანგის სპეციალისტების (პროგრამისტები, კონსულტანტ /სისტემ-ანალიტიკოსები და IT მენეჯერები) ფორმირება, რომლებიც IV ინდუსტრიული რევოლუციისა და კრიპტოეკონომიკის კონტექსტში, უახლესი ტექნოლო-გიებისა და მიდგომების სისტემური სინთეზის გზით შექმნიან და განავითარებენ თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებულ ტექნოლოგიურ სოლუშენებს, ბლოკჩეინ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ დეცენტრალიზებულ ინფორმაციულ სისტემებსა და სერვისებს. პროგრამა ორიენტირებულია, საქართველოში ხელი შეუწყოს უახლესი ტექნოლოგიების და მათი გამოწვევების სწრაფ განვითარებას, IT სფეროში ექსპერტიზისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და ქვეყნის გლობალური ციფრული საზოგადოების რეგიონალურ ლიდერად ფორმირებას. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ საქართველოსა და უცხოეთში IT მიმა-რთულებით, საჯარო თუ კერძო სექტორში, მაღალი რანგის სპეციალისტებად. ასევე, შეუძლიათ შექმნან საკუთარი სტარტაპი ან გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

## წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის

მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ სხვადასხვა თანამედროვე მათემატიკურ მიმართულებაში ცნობილი თეორიების, მეთოდების და მოდელების შესწავლა და ანალიზი, მათი გამოყენება სხვა დარგების, მათ შორის კომპიუტერული მეცნიერებების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს მყარი საფუძველი ექნებათ, რომ:
- სწავლა გააგრძელონ სადოქტორო საფეხურზე.
- იყვნენ კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ დასაქმდნენ ბიზნესის სფეროში, მარკეტინგულ, კერძო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოთხოვნადია ანალიტიკური აზროვნება და სხვადასხვა მათემატიკური მეთოდის გამოყენება.



## ფიზიკის სადოქტორო პროგრამის

მიზანია მაღალი სამეცნიერო ღირებულების კვლევის წარმოება და ახალი ცოდნის შექმნა ფიზიკასა ან/და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. ასევე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების, ანალიტიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის მიზნით.

## კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის

მიზანია სამეცნიერო კვლევის წარმოება და ახალი ცოდნის შექმნა კომპიუტერულ მეცნიერების დარგში, სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების, ანალიტიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის მიზნით. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში აკადემიურ/ სამეცნიერო პოზიციებზე, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში ანალიტიკურ, IT მენეჯერულ და კომპანიის განმავითარებელი საქმიანობის ჯგუფებში.

## გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის

პროგრამის მიზანია გამოყენებითი მეცნიერებების (გამოყენებითი ელექტროდინამიკა და გამოყენებითი მათემატიკა) დარგებში უზრუნველყოს კონკურენტული და მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ფიზიკის/მათემატიკის/ინფორმაციულ და კომპიუტერულ ტექნოლოგიების ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. კურსდამთავრებულები შეძლებენ კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებას, კრეატიულად აზროვნებას, და ექნებათ შესაბამისი სპეციალობით დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, მარკეტინგულ, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება თანამედროვე მეცნიერული აზროვნება, დარგის უახლესი მიღწევების და სიღრმეების ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის მეცნიერული გადაჭრის უნარი, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები. კურსდამთავრებულებს ექნებათ სათანადო კვლევის უნარები, რათა შეძლონ სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის დონეზე.

## მათემატიკის სადოქტორო პროგრამის

მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას და დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მეცნიერად წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც ექნება დარგის უახლესი მიღწევების ცოდნა და შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევები.



“IF YOU DO NOT BUILD YOUR DREAMS, SOMEONE ELSE WILL HIRE YOU TO BUILD THEIRS.”

STEVE JOBS.

# რესურსები რესურსები

## BLOCKCHAIN-LAB

ცენტრს ხელმძღვანელობს ასოც. პროფ. დავით კიზირია. ლაბორატორიის მიზანია საქართველოში დანერგოს და განავითაროს ახალი ციფრული ტექნოლოგიები, განავრცოს ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები განათლებასა და სხვადასხვა პრაქტიკულ სფეროებში. საქართველოს უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელმაც დაიწყო BlockChain ტექნოლოგიის დანერგვა საკუთარ სივრცეში. BlockChain-Lab-ი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო კურსებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის.

## ინტერნეტის შესწავლისა და კვლევების ცენტრი

ცენტრს ხელმძღვანელობს ვლადიმერ სვანაძე. ცენტრის მიზანია ქვეყანაში ინტერნეტისა და ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება, ინტერნეტ - რეგულაციების მოწესრიგება და მოცემული მიმართულებით არსებული საუკეთესო გამოცდილებების შესწავლა, კვალიფიციური კადრების მომზადება, აღზრდა და პროფესიული განვითარება, აკადემიურ დონეზე სწავლება და კვლევების ჩატარება. ცენტრში ხორციელდება ინტერნეტ-ტექნოლოგიების პროცესების შესწავლა და კვლევა, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

## UG LEMONDO

ცენტრი სტუდენტებსა და დამწყებ პროგრამისტებს სთავაზობს მობილური აპლიკაციების შექმნის სრულ კურსებს, პროგრამირების საფუძვლებიდან დასრულებულ რეალურ პროექტამდე. UG Lemondo-ს ტრენინგ-ცენტრი უნიკალურია, რადგან სწავლების პროცესში ერთდროულად ერთვება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ლიდერი დეველოპერული კომპანია Lemondo. სწავლება ორიენტირებულია საბაზრო მოთხოვნებზე და მსურველებს აძლევს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული განათლების მიღების შესაძლებლობას. UG Lemondo არის Apple-ის ავტორიზებული ცენტრი. საქართველოს უნივერსიტეტი პირველი საგანმანათლებლო ცენტრია საქართველოში, რომელმაც მოიპოვა Apple iOS University Developer Program-ის წევრობა და ლიცენზია. საქართველოს უნივერსიტეტის  UG LEMONDO ტრენინგ ცენტრს საშუალება ეძლევა სტუდენტებს შეასწავლოს iOS აპლიკაციების დეველოპმენტი iOS SDK-სა და სხვა Apple ტექნოლოგიების გამოყენებით.

## IT ACADEMY

აკადემია მოიცავს საერთაშორისო აკადემიებს: Cisco Academy, Oracle Academy, Microsoft Academy და Mikrotik Academy,რომლის ფარგლებში მსმენელს შეუძლია გაიაროს მისთვის სასურველი სასერტიფიკატო კურსები:

- MS Office
- მონაცემთა ბაზები (Oracle, MS SQL, PL/SQL)
- Web დეველოპმენტი (HTML, CSS, Javascript, PHP)
- დაპროგრამების ენა - Java
- კომპიუტერული ქსელები (CCNA)
- გეოინფორმატიკა (ArcGIS, MapInfo)
- ბლოკჩეინ ტექნოლოგიის საწყისი კურსი

## ICT ლაბორატორია

ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია სტუდენტს საშუალებას აძლევს პრაქტიკულად შეისწავლოს ინფორმაციის დამუშავების (კოდირება, გადაცემა, მიღება და დეშიფრაციის) თანამედროვე მეთოდები. მხოლოდ ამ ლაბორატორიაში შეისწავლის თანამედროვე 4G, 5G და ახლა უკვე 6G ტექნოლოგიებს. ICT ლაბორატორიას ხელმძღვანელობს პროფესორი ნოდარ უღრელიძე.

## საერთაშორისო აკადემიები

საქართველოს უნივერსიტეტი პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელმაც დაამყარა კავშირი Oracle Corporation-თან საგანმანათლებლო კუთხით და დააარსა Oracle Academy. აკადემია შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გაიარონ კურსები და მიიღონ საერთაშორისო სერტიფიკატები. საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია MikroTik-ის აკადემიების ქსელში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს კურსის დამთავრების შემდეგ აიღოს MTCNA-ის საერთაშორისო სერტიფიკატი. საქართველოს უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ჩართულია Microsoft IT Academy პროგრამაში. რაც მთავარია, ყველა სტუდენტს დამატებითი საზღაურის გადახდის გარეშე შეუძლია აიღოს Microsoft-ის სერტიფიკატები, გამოცდების ონლაინ სისტემით წარმატებით ჩაბარების შემდეგ. Zend Technologiesმსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ფირმაა ვებ-ტექნოლოგიებში. აღნიშნულ ფირმას ევროპისა და აშშ-ს მასშტაბით ბევრ ქალაქში ჰყავს წარმომადგენლობა. სამხრეთ კავკასიის რეგიონში კი პირველად საქართველოს უნივერსიტეტმა დაამყარა ურთიერთობა ამ კომპანიასთან.

# რესურსები რესურსები

## IDEALAB-ელექტრონიკის ლაბორატორია

არის სივრცე, სადაც ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას, აბიტურიენტს, სტუდენტს შეუძლია მოიტანოს საინტერესო იდეა და მისი განხორციელებისთვის გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები. იდეების ლაბორატორიაში შექმნილია მოხერხებული სამუშაო სივრცე. ლაბორატორია აღჭურვილია ელექტრონული ინჟინერიის თანამედროვე აპარატურითა და ინვენტარით. მსურველებს აქ დახვდებათ 3D პრინტერი, ლაზერული მჭრელი, CNC დანადგარი, ოსცილოგრაფი, სიგნალების გენერატორები, მულტიმეტრები, Ardunio და Raspberry მოდულები, სხვადასხვა ტიპის სენსორები.

## მათემატიკის ინსტიტუტი

ინსტიტუტს ხელმძღვანელობს პროფესორი როლანდ დუდუჩავა. ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას წმინდა გამოყენებით მათემატიკასა და მექანიკაში. ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის მრავალ სამეცნიერო ცენტრთან და წარმატებით ახორციელებს გაცვლით პროგრამებს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე.

## კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია

ლაბორატორია აღჭურვილია CISCO-ს აპარატურით და მინიჭებული აქვს CCNA და CCNP სერტიფიკატების გაცემის უფლება. CISCO-ს სასწავლო პროგრამები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სასწავლო კურსებში. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა საერთაშორის სერტიფიკატი.

## საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორია

აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიული დანადგარებით (Pasco, National Instruments). ასევე, შექმნილია უნიკალური ლაბოლატორიული დანადგარები, რომლებიც იმართება LabView-ს მეშვეობით. ინჟინერიის ლაბორატორიაში სტუდენტებს საშუალება აქვთ შეისწავლონ ინჟინერიის საფუძვლები და ზოგადად ფიზიკის კანონები უშუალოდ ცდებზე დაკვირვებით. ლაბორატორიაში მოიცავს მექანიკის, ელექტროობისა და მაგნეტიზმის, ოპტიკისა და რადიოტექნიკის ამოცანების გადაწყვეტას. ლაბორატორიაში სტუდენტებს შეუძლიათ თავად შეიმუშაონ და შექმნან საკუთარი იდეების მიხედვით დანადგარები და LabView-ს მეშვეობით მოახდინონ ამ დანადგარების პროგრამული მართვა.

# ახლა შენი დროა



სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
სოციალურ მეცნიერებათა სკოლა



# შალვა ქებისაშვილი

## პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი

„არასოდეს  უნდა დათმო საყვარელი სფერო და საქმიანობა და კომპრომისზე წახვიდე საკუთარ პროფესიულ მომავალთან, რამეთუ წარმატებულია მხოლოდ ის, ვისაც თავისი საქმე უყვარს და შესაბამისად მასში საუკეთესოა.“

ლაშა ქებისაშვილი - პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი (ასოც. პროფესორი), საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების ხელმძღვანელი. საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) თანადამფუძნებელი და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრი, მაგ. უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამოქალაქო საბჭო (CCDS). 2003 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სფეროში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. 2008-2009 წლებში მან წარმატებით დაამთავრა სამაგისტრო კურსი სტრატეგიული უსაფრთხოების კვლევებში აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში (NDU-ვაშინგტონი) და შემდეგ დაიკავა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენლის პოზიცია (თავდაცვის მრჩეველი) საქართველოს წარმომადგენლობაში ნატოს შტაბ-ბინაში. 2012 წლის სექტემბერში ის გახდა ევროკომისიის სადოქტორო პროგრამის (GEM) წევრი, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო სადოქტორო ხარისხი ევროპული კვლევების ინსტიტუტში (IEE, ULB, ბრიუსელი) 2016 წლის იანვარში. ლაშა ქებისაშვილი არის რამდენიმე აკადემიური პუბლიკაციისა და მთელი რიგი ანალიტიკური სტატიების ავტორი.

# სალომე ხურცილავა

## პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამის კურსდამთავრებული

„უღრმესი მადლობა ამ ყველაფრისათვის თითოეულ პროფესორს, თითოეულ ლექტორს, რომელთან კომუნიკაციამაც მომცა არამხოლოდ უდიდესი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, არამედ პიროვნული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობაც. დიდი მადლობა, იმ დასავლური, ლიბერალური ღირებულებებისთვის, იმ ჯანსაღი ცნობიერებისთვის, რასაც ასე აქტიურიად, და რაც მთავარია წარმატებით, ნერგავს საქართველოს უნივერსიტეტი.“



თავდაპირველად, საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისას, როდესაც ფინიშის ხაზი ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო, ფიქრი იმაზე, რომ გავხდებოდი საქართველოს უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური მოსწრების სტუდენტი, მხოლოდ და მხოლოდ ოცნების სფერო შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემთვის, თუმცა 4 წლის წინ გაკეთებული ერთ-ერთი ყველაზე სწორი არჩევანის შედეგად აღმოვჩნდი სივრცეში, სადაც ნებისმიერი მცდელობა, შრომის ნებისმიერი გამოხატულება დაფასებულია. სწორედ ამიტომ, დღეს ვარ უკიდურესად ბედნიერი და ამაყი, რომ მქვია საქართველოს უნივერსიტეტის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი. საქართველოს უნივერსიტეტმა მომცა არამხოლოდ განუზომლად დიდი ცოდნა და გამოცდილება, არამედ პრაქტიკულად მასწავლა უკომპრომისო ბრძოლა საკუთარი მიზნებისთვის. სწორედ აქ გავითავისე ის მოცემულობა, რომ თავდაუზოგავი შრომისა და მტკიცე ნებისყოფის პირობებში, ნებისმიერი გამოწვევა, ნებისმიერი წინაღობა ადვილად გადასალახავია. “




სოციალურ მეცნიერებათა სკოლა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს დაეუფლონ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებს, საკითხებსა და სტრატეგიებს. სკოლის ძირითადი მიზანია, სოციალური მეცნიერებების გაგება, შეცნობა და გაანალიზება. ყველა შეთავაზებული საგანი საერთაშორისო გამოცდილებაზეა დაფუძნებული, სასწავლო პროცესში გამოიყენება უახლესი აუდიო-ვიდეო მასალები და ტექნიკური აღჭურვილობა, ფუნქციონირებს მედიაცენტრი და ტელესტუდია, რაც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას უზრუნველყოფს. ლექციებს უძღვებიან მაღალკვალიფიური პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, დიპლომატები, ფსიქოლოგები და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს კომპეტენტური წარმომადგენლები, პროგრამის კომპონენტთა მრავალფეროვნება და მასში სოციოლოგიის, საერთაშორისო სამართლისა თუ ეკონომიკის ინტეგრირება უზრუნველყოფს სტუდენტის მრავალმხრივ განვითარებას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ინსტიტუციებთან და წევრია საერთაშორისო ასოციაციების, მაგალითად: EUPRERA, EJTA, ECPR, ECREA, EJO, GFMD, EU-HYBNET.

# გახდი პოზიტიური ცვლილების ძალა

## პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა

შეასწავლის პოლიტიკის მეცნიერებაში და აქტუალურ პოლიტიკაში ძირეულ საკითხებს  და ხელს უწყობს მათ. პროგრამის მიზანია სტუდენტების ფუნდამენტალური მომზადება პოლიტიკურ თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციებისა და მიდგომების გააზრება-გამოყენებისათვის.

სტუდენტები შეისწავლიან: სახელმწიფო წყობისა და ფუნქციონირების პრინციპებს; პოლიტიკური პროცესების, პოლიტიკური ქმედებების და ინდივიდების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირს; სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების ანალიზს. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო და არასამთავრობო, მათ შორის ანალიტიკურ ორგანიზაციებში.

## ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით არის შექმნილი. სტუდენტები შეისწავლიან ამბის თხრობის ტექნიკებს მონაცემთა ჟურნალისტიკის საფუძველზე, მულტიმედიური ნამუშევრების შექმნას, ახალი ამბების მომზადებისა და გაშუქების უნარს, სიღრმისეული ანალიტიკური სტატიების წერას, რეპორტაჟებისა და დოკუმენტური ფილმების მომზადებას, ინტერვიუების ჩაწერას, ფოტო, ვიდეო გადაღებას, მონტაჟს, ბიზნესის, პოლიტიკის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის საკითხების გაშუქებას.

სტუდენტები გადიან სტაჟირებას სხვადასხვა მედია კომპანიებში და ამავდროულად, უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდენტები მუშაობენ UG Newsroom-ში. პროგრამა ევროპის მედია სკოლების ასოციაციის (EJTA,GFMD, EJO) წევრია, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში.

ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ წამყვან მედია ორგანიზაციებში, მათ შორის მედია სააგენტოებსა და ტელევიზიებში. სტუდენტური ნამუშევრების გაზიარების ხელშეწყობისთვის შექმნილია ვებ-გვერდი www. media.ug.edu.ge

## სტრატეგიული კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის

ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან დასაქმე-ბისთვის ისეთ საჭირო უნარებს, როგორიცაა სოციალური მედიის სტრატეგიების შედგენა და მართვა, PR გეგმის შემუშავება და განხორციელება, კვლევების წარმოება, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატე-გიის განვითარება, მედიასთან ურთიერთობა, ბრენდის შექმნა და კომუნიკაცია, მულტიმედიური პროექტების შექ-მნა. პრაქტიკული, რეალური სამუშაო უნარების განვითა-რებისთვის გადიან სტაჟირებას სხვადასხვა PR საკონსულ-ტაციო და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურებში. ამავდროულად უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს UG PR CONSULTING, სადაც სტუდენტები რეალური კომპანი-ებისთვის ქმნიან საკომუნიკაციო სტრატეგიებს, გეგმავენ ღონისძიებებს, მუშაობენ მედიასთან. კურსდამთავრებუ-ლები დასაქმებული არიან პროფესიით და მუშაობენ საქართველოში წამყვან კომპანიებში.

სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა ევროპის ასოციაციის (EUPRERA) წევრია, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ახორციელებენ პროექტს upriani.ge, რომელიც PR საკონსულ-ტაციო კომპანია GEPRA-სთან ერთად შეიქმნა. პროგრამა პარტნიორია UNIVERSITE DE VERSAILLES SAINT-QUENTIN- EN-YVELINES და წევრია EUPRERA, ECREA და სხვა ორგანიზაციების.

## საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

რამდენიმე კონცენტრაციისგან შედგება: საერთაშორისო წესრიგი; საერთაშორისო უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა; რეგიონები და ქვეყანათმცოდნეობა. პროგრამა შეასწავლის საერთაშორისო უსაფრთხოებისა საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს, საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე სისტემას, და არსებულ მნიშვნელოვან თეორიებსა და მიდგომებს, გლობალიზაციისა და უახლესი საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემატიკას, რეგიონალურ ინტეგრაციას, სამხედრო ძალის, ტერორიზმის, საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ფინანსების საკითხებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო ფაქტორების ურთიერთქმედებას, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემატიკას, გეოპოლიტიკის, გეოეკონომიკისა და გეოსტრატეგიის საკითხებს. პროგრამა პარტნიორია FREE UNIVERSITY OF BRUSSELS, BIELEFELD UNIVERSITY და წევრია ECPR, EU-HYBNET, HSFK, ZOIS და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების.

## ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

პრაქტიკული თვალსაზრისით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ფსიქოლოგის წინაშე დგას დასაქმების ბაზარზე. პროგრამის მიზანია კონკურენტული, კვალიფიციური, ფართო პროფილის ფსიქოლოგების მომზადება, რომლებიც ფსიქოლოგიის ძირითად სფეროებში ეუფლებიან საბაზისო კვალიფიკაციას სოციალური ფსიქოლოგიის, პიროვნების, განათლებისა და განვითარების, კლინიკური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით. გარდა ამისა, კვლევითი კომპონენტი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. სტუდენტები გადიან სტაჟირებას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში (მათ შორის, UG-ბაღსა და UG-სკოლაში), ტრენინგ-ცენტრებში, კვლევით ორგანი-ზაციებში, საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო ცენტრებში და ამავდროულად, უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე არსებულ ფსიქოლოგიური მომსახუ-რებისა და ანალიტიკის ცენტრ- „კონტაქტში“. კურსდამთავ-რებულებს შეუძლიათ პროფესიული ეთიკის ფარგლებში თავიანთი პროფესიული საქმიანობის წარმართვა პოტენ-ციური დასაქმების სფეროებში.

LIBERTAS
HUMANITAS
EXCELENTIA

## გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამზადებს მაღალი კომპეტენციის პროფესიონალებს და ანიჭებს კვალიფიკაციას შემდეგ მიმართულებებში: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია.

არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულები ეუფლებიან ადრეული, შუა ბავშვობისა და მოზარდობის ფსიქოლოგიური თავისებურებების შეფასებისა და დიაგნოსტირების, ქცევის დარღვევების ანალიზისა და ინტერვენციის, ინკლუზიური სწავლების უნარებს;

• კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაციის ფარგლებში- კლინიკურ-ფსიქოლოგიური შეფასების, ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და ფსიქოლოგიური კონსულტირების პრაქტიკულ უნარებს;
• შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კონცენტრაციის ფარგლებში - ორგანიზაციული ქცევისა და ორგანიზაციული განვითარების შეფასების, პერსონალის შეფასებისა და კარიერული განვითარების, პერსონალის შერჩევის, ტრენინგებისა და განვითარების, მომხმარებლის მიერ ყიდვის გადაწყვეტილებისა და პერსონალის მართვის, გაყიდვების წარმოებისა და დაგეგმვის უნარებს.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამივე მიმართულების კურსდამთავრებულები პროფესიული ეთიკის ფარგლებში ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კლინიკებში, ადამი-ანის რესურსების მართვის ორგანიზაციებში და სხვა.




## რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

რამდენიმე კონცენტრაციისგან შედგება: საერთაშორისო წესრიგი; საერთაშორისო უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა; რეგიონები და ქვეყანათმცოდნეობა. პროგრამა შეასწავლის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს, საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემას, საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან თეორიებსა და სკოლებს, გლობალიზაციისა და უახლესი საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემატიკას, რეგიონალურ ინტეგრაციას, სამხედრო ძალის, ტერორიზმის, საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ფინანსების საკითხებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო ფაქტორების ურთიერთქმედებას, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემატიკას, გეოპოლიტიკის, გეოეკონომიკისა და გეოსტრატეგიის საკითხებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ახორციელებენ პროექტს upriani.ge, რომელიც PR საკონსულ-ტაციო კომპანია GEPRA-სთან ერთად შეიქმნა. პროგრამა პარტნიორია UNIVERSITE DE VERSAILLES SAINT-QUENTIN- EN-YVELINES და წევრია EUPRERA, ECREA და სხვა ორგანიზაციების.

## უსაფრთხოების სწავლებებისა და გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამების

ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან გლობალური პოლიტიკის ძირითად თეორიულ მიდგომებს, შეეძლებათ საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული ძირეული პრობლემების, მათ შორის, რეგიონალური და ტრანსრეგიონალური პოლიტიკის განზოგადება და გააზრება. აგრეთვე, დაეუფლებიან ისეთ ცოდნას და უნარებს, რომელიც მათ თანამედროვე საგარეო პოლიტიკის წარმოებაში დაეხმარებათ. კერძოდ:

• უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის როლი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში
• ენერგო პოლიტიკისა და ენერგო უსაფრთხოების საკითხების ცოდნა ქვეყნის, რეგიონისა და გლობალურ კონტექსტში;
• სხვადასხვა კომპლექსური პოლიტიკური პრობლემური საკითხების გადაჭრის მიზნით, ახალი ორიგინალური გზების ძიების უნარი, მოლაპარაკებებისა და საქმიანი შეხვედრების დაგეგმვა და მომზადება;
• კავკასიის და გლობალური ინსტიტუციური პოლიტიკის ჭრილში ჰიპოთეზის ფორმულირებისა და კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება;
• მიმდინარე რთული პოლიტიკური მოვლენებისა და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შეფასებაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების გზების დასახვა.

პროგრამა პარტნიორია FREE UNIVERSITY OF BRUSSELS, BIELEFELD UNIVERSITY და წევრია ECPR, EU-HYBNET, HSFK, ZOIS და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების.

## პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის

მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნას, მის მეცნიერულ განვითარებას და პრაქტიკული პოლიტიკის  კონტექსტში რეკომენდაციების შემუშავებას. პროგრამა ამზადებს პოლიტიკის მეცნიერებსა და მკვლევრებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ამით ემსახურებიან საზოგადოებას, ქვეყანასა და მსოფლიოს.

პროგრამის მიზანია, უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ხელი შეუწყოს მაღალი დონის მკვლევარების ჩამოყალიბებას აკადემიურ და ანალიტიკურ სივრცეში. აგრეთვე, დოქტორანტს შეეძლება პროექტის მენეჯმენტის უახლესი სტანდარტების დაცვით მოამზადოს და განახორციელოს ინოვაციური სამეცნიერო პროექტები პოლიტიკის მეცნიერებების აქტუალურ პრობლემებზე.

## მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის

ფარგლებში კურსდამთავრებულები იძენენ მკვლევარისთვის საჭირო უნარებს, ისინი ეუფლებიან კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვასა და განხორციელებას დარგში ახალი ცოდნის შექმნის მიზნით, მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების მომზადებას. პროგრამა ევროპის PR ასოციაციის წევრია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში, ასევე ჩაერთონ სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით პროექტში.



# რესურსები რესურსები

## UG TV სტუდია

თანამედრობე მულტიმედიური ტექნოლოგიებით აღჭურვილი სატელევიზიო სტუდია, სადაც ხორციელდება სტუდენტების მიერ მომზადებული გადაცემების ჩაწერა.

## UG MEDIA

სატელევიზიო სტუდია, სადაც სტუდენტები რეალურ ჟურნალისტურ საქმიანობას ახორციელებენ, როგორიცაა, გადაცემების, რეპორტაჟებისა და სიუჟეტების მომზადება.

## UG SECURITY PLATFORM (UGSP)

UGSP (UG-Security Platform) უზრუნველყოფს სივრცეს აკადემიური და პოლიტიკური დისკუსიებისთვის რეგიონული უსაფრთხოების, სამხედრო, პოლიტიკური სისტემისა და რეჟიმების პრბლემატიკაზე  და მიზნად ისახავს მუდმივ განვითარებას საუკეთესო ექსპერტიზისა და პოლიტიკის მიწოდებაში.  ცენტრი მუდმივად ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს და სიმულაციურ გათამაშებებს (www.ugsp.ug.edu.ge).

## მედიაცენტრი

სტუდენტები ქმნიან სხვადასხვა მულტიმედიურ მედია პროდუქტებს  და ეუფლებიან  მასალების დამონტაჟების უნარებს.

## UG PR CONSULTING

სტუდენტები მუშაობენ რეალურ PR, ბრენდინგის, მედიასთან ურთიერთობის, კვლევის, ღონისძიებების დაგეგმვისა და მართვის პროექტებზე   კომპანიებისთვის.

## ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი "კონტაქტი"

ცენტრში ხორციელდება ინდივიდუალური კონსულტირება და თერაპია, ჯგუფური თერაპია, მიზნობრივ-თემატური ტრენინგები, სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევები და მზადდება გამოცემები. ცენტრი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობაში და შეიძინონ პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

## ეთნიკურობისა და მულტიკულტურიზმის შესწავლის ბიბლიოთეკა და რესურს-ცენტრი

რესურს ცენტრის მიზანია როგორც სტუდენტების, ასევე გამოცდილ მკვლევართა აკადემიური მხარდაჭერა და კვლევების წახალისება ეთნოპოლიტიკისა და ერის მშენებლობის პრობლემატიკის მიმართულებით. ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური მასალები, უძველესი და უახლესი ლიტერატურა, რომელიც მნიშვნელოვანი რესურსია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის, უფლება დამცველებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.



სამართლის სკოლა სამართლის სკოლა
სამართლის სკოლა სამართლის სკოლა



სამართლის სკოლა სამართლის სკოლა
სამართლის სკოლა სამართლის სკოლა



# ნინო მესხიშვილი

**საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი**

**„მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განვითარების გზაზე ბევრ უსამართლობას და იმედგაცრუებას შეიძლება შეეჯახოთ, არასოდეს დაიხიოთ უკან და განაგრძეთ ბრძოლა დასახული მიზნისაკენ.“**

ნინო მესხიშვილი არის კერძო სამართლის მიმართულებით გამორჩეული, პროფესიონალი ლექტორი და პრაქტიკოსი იურისტი. 2007 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. იგი არაერთი სტატიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ნინო მესხიშვილს სამართალმცოდნეობის მიმართულებით სამუშაო გამოცდილების საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს, როგორც საჯარო (მათ შორის იუსტიციის სამინისტრო) ისე კერძო სტრუქტურებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციაში. ამჟამად იგი კერძო კომპანია შპს „აჭარა ჯგუფის“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორია.

# ირაკლი ბიწკინაშვილი

**საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული**

**„საქართველოს უნივერსიტეტს ქმნიან პროფესიონალები, რომლებიც აფასებენ შრომისმოყვარეობასა და მონდომებას, მზად არიან გვერდში დაუდგნენ სტუდენტებს და დაეხმარონ მათ მიზნების მიღწევაში.“**



პირველად, როდესაც საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამას გავეცანი, მივხვდი, რომ ეს იყო პროგრამა, რომელიც მთავაზობდა საერთაშორისო ბიზნეს სამართლის დასავლური დონის პროგრამას, რომელიც მომცემდა საშუალებას მიმეღო როგორც თეორიული ცოდნა, ისე გამომემუშავებინა ის უნარ-ჩვევები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ პრაქტიკოს იურისტად ჩამოყალიბებაში. ჩემი მოლოდინები პირველივე ლექციამ გაამართლა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ძალიან საინტერესო და სიახლეებით აღსავსე 2 წელი მელოდა წინ.

საინტერესო და დატვირთული სასწავლო წლის გარდა, საქართველოს უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა სრული დაფინანსებით მონაწილეობა მიმეღო საერთაშორისო შეჯიბრებებში და პრაქტიკაში გამომეყენებინა მიღებული ცოდნა. გარდა ამისა, გავიცანი კოლეგები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ და მაქვს პროფესიული კავშირები.

## პროგრამები

- **სამართალმცოდნეობა** (საბაკალავრო/სადოქტორო)
- **სამართალი** (სამაგისტრო)
- **სამართალი და ეკონომიკა** (სამაგისტრო)
- **საერთაშორისო ბიზნეს სამართალი** (ინგ) (სამაგისტრო)



სამართლის სკოლა გთავაზობთ საუკეთესო ხარისხის ინოვაციურ პროგრამებს, რომელთა მიზანია მაღალკვალიფიციური, მოთხოვნადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე იურისტების მომზადება. სკოლა გთავაზობთ როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებს, რაც მოგცემთ საშუალებას კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდეთ საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. პროგრამები გამორჩეულია იმით, რომ:

- მთლიანად მორგებულია თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს;
- სწავლების მეთოდები ინოვაციურია;
- ყველა სტუდენტს ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონკურსებში;
- გამოცდების დიდი ნაწილი იმართება იმიტირებული პროცესების სახით;
- არჩევითი საგნების ჩამონათვალი მრავალფეროვანია;
- სამართლებრივ ინგლისურ ენას მხოლოდ ამერიკელი, ბრიტანელი და კანადელი პროფესორები ასწავლიან;
- სემესტრულადაა შეთავაზებული სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა;
- იურისტად დასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ამასთან, დასაქმება შესაძლებელია უნივერსიტეტის იურიდიული დახმარების ცენტრში.

## სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის

მიზანია, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულების იურისტების მომზადება, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით დასაქმდნენ საჯარო და კერძო სექტორში, ასევე სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში.

## სამართლის სამაგისტრო პროგრამის

მიზანია, ბაკალავრის შემდგომი დონის იურისტის მომზადება, რომელსაც შეძენილი ღრმა ცოდნით შეეძლება როგორც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩატარება. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ საჯარო და კერძო სექტორში, ასევე, სურვილის შემთხვევაში, განაგრძონ სწავლა დოქტორანტურაში. არჩევითი საგნების მრავალფეროვნება და პრაქტიკის სხვადასხვა მიმართულება საშუალებას იძლევა ზუსტად განსაზღვროთ თქვენი ინტერესის სფეროები.

## სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის

მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ეკონომიკის მიმართულებით - „სამართალი და ეკონომიკა“, რომელიც მოიცავს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზს. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ რეგულირების ეკონომიკური გავლენის შესწავლას და მიღებული შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის არგუმენტირებულად წარდგენას.

ეს შესაძლებლობას მისცემთ კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და ეკონომიკაში მოქმედ დიდ კომპანიებში, რომლების ეფექტიანი ფუნქციონირება ითხოვს მუდმივ კვლევით აქტივობას (ბანკები, სადაზღვევო და საკონსულტაციო კომპანიები).

## საერთაშორისო ბიზნეს სამართლის (ინბ) სამაგისტრო პროგრამა

სრულად მორგებულია საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე. ბიზნესის სფეროსთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ იურისტებს შეეძლებათ დასაქმდნენ საერთაშორისო ბიზნესით დაკავებულ ნებისმიერ კომპანიაში. პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია და მას უმეტესად უცხოელი პროფესორები ახორციელებენ.

## სამართლის სადოქტორო პროგრამა

ამზადებს იურისტებს, რომლებიც სრულად ფლობენ სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს და აქვთ სამართლის დარგში სიახლის დანერგვის უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში მეცნიერ / მკვლევრად, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო ორგანიზაციებში აკადემიურ თანამდებობებზე.

# FOR LAW AND LIBERTY



# რესურსები რესურსები

## TOLES სამართლებრივი ინგლისური ენა

სამართლებრივი ინგლისური ენა ინტენსიურად ისწავლება სამართლის ყველა აკადემიურ პროგრამაში. სწავლება მიმდინარეობს TOLES (სამართლებრივი ინგლისურის ბრიტანული ცენტრი) პროგრამით, რომელიც მსოფლიოში ერთადერთი საერთაშორისოდ აღიარებული სასერტიფიკატო პროგრამაა და მას წარმართავენ ამერიკელი, ბრიტანელი და კანადელი პროფესორები. კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, შეგიძლიათ სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლა და სამართლებრივი ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვება. მეტი TOLES შესახებ იხილეთ: www.toles.ug.edu.ge.

## სასამართლო უნარ-ჩვევები

სამართლის სკოლაში არსებული იმიტირებული სასამართლო დარბაზი ხელს უწყობს თქვენი სასამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. გამოცდების დიდი ნაწილი ტარდება იმიტირებული პროცესის სახით, რომელშიც თქვენ წინასწარ განსაზღვრული როლით (მაგ: მოსამართლის,ბრალდებულის, პროკურორის...) მონაწილეობთ.

## სამართლის საერთაშორისო შეჯიბრებები

სამართლის სკოლა ყოველწლიურად გთავაზობთ მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო კონკურსებისთვის მომზადებას და მათში მონაწილეობას, სრული დაფინანსებით.
შემოთავაზებული კონკურსებია:

- ELSA Moot Court Competition onWTO Law (EMC2);
- Willem C. Vis International Commercial Arbitration Moot (Vis Moot);
- Central & East European Moot Competition (CEEMC);
- Philip C. Jessup International Law Moot Court Competition (Jessup);
- ICC International Commercial Mediation Competition Paris;
- ICC International Commercial Mediation Competition Hong Kong;
- IBA – VIAC CDRC Vienna The Mediation and Negotiation Competition;
- INADR International Law School Mediation Tournament 2021.

კონკურსებში მონაწილეობა თქვენთვის უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა კვლევისა და პრაქტიკული უნარების, ასევე სასარგებლო კონტაქტების შესაძენად და წარმატებით დასაქმებისთვის.

## უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი

ცენტრი უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და უზრუნველყოფს მათ საადვოკატო მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ. ცენტრში პრაქტიკის გავლა სტუდენტებისთვის სავალდებულოა. პრაქტიკის პერიოდში თქვენ ხვდებით ნამდვილ კლიენტებს და ტრენერ-ადვოკატთან ერთად უწევთ სამართლებრივ კონსულტაციას, ახორციელებთ მათ წარმომადგენლობას სასამართლოში. პრაქტიკის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ დასაქმდეთ ამავე ცენტრში.

## სამეცნიერო ინსტიტუტი

სამართლის სკოლაში, სისხლის სამართლის მიმართულებით კვლევას ახორციელებს ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი, რომელიც გთავაზობთ კვლევებს, საჯარო ლექციებს, სამუშაო შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ინგლისურენოვან საზაფხულო სკოლებს გერმანიაში და შეჯიბრებას იმიტირებულ პროცესებში.

## GNOMON WISE

საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტია, რომელშიც ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტები აწარმოებენ კვლევებს, ქმნიან ანგარიშებსა და ანალიტიკურ დოკუმენტებს. GNOMONWISE ხელს უწყობს საჯარო პოლიტიკაში, აკადემიური სივრცის როლისა და საზოგადოების ჩართულობის ზრდას. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ პრაქტიკა აღნიშნულ ინსტიტუტში და შეიძინონ კვლევის ჩატარების უნარები.

## საზაფხულო და ზამთრის სკოლები

სამართლის სკოლა ყოველწლიურად გთავაზობთ რამდენიმე მიმართულების საზაფხულო და ზამთრის სკოლას. სკოლები ტარდება კიოლნში, ბათუმში, გუდაურში, ბაკურიანში, სამშვილდეში და სხვ. სკოლების მიმართულება მრავალფეროვანია, მოიცავს საჯარო, კერძო და სისხლის სამართალს და მათ, ქართველ ექსპერტებთან ერთად, უცხოელი კოლეგებიც უძღვებიან.

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა



ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა



# ნათია გოლიაძე

## ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი

„წარმატებული კარიერის საწინდარი სწორედ უნივერსიტეტიდან იწყება. მჯერა, რომ UG-BAS სკოლა, სწორედ ის ადგილია, სადაც ახალგაზრდა მომავალი პროფესიონალები ეუფლებიან თანამედროვე ცოდნას; იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას; აყალიბებენ ურთიერთობებს დარგის წამყვან სპეციალისტებთან, რომლებიც ამავდროულად მათი ლექტორები არიან და რაც მთავარია, ქმნიან საფუძველს მომავალი წარმატებისთვის. UG-BAS სწორედ ის ადგილია, სადაც სტუდენტებისთვის მრავალმხრივი შესაძლებლობებია საუკეთესო კარიერული მომავლისთვის."

ნათია გოლიაძე ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი და მენეჯმენტ საკონსულტაციო კომპანია SavvY-ის პარტნიორი და დირექტორია. მას აქვს 7 წელზე მეტი გამოცდილება ბიზნეს კონსალტინგში და 10 წლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში. ნათია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების კონსულტანტი/ექსპერტია. ის ასევე არის მიკრო და მცირემეწარმეებისთვის სხვადასხვა სახელმძღვანელოების თანაავტორი; ნათია დოქტორი და მკვლევარია. მას წამყვანი როლი აქვს ბიზნეს გეგმების, ბიზნესის მიზანშეწონილობის ანალიზის მომზადებაში, ბაზრის კვლევაში და სტრატეგიის შემუშვებაში საერთაშორისო დაადგილობრივი კომპანიებისთვის. ის ასევე ხელმძღვანელობს საერთაშორისო სააგენტოების მიერ დაფინანსებულ პროექტებს. ნათიამ სწავლების სამივე საფეხური საქართველოს უნივერსიტეტში დაასრულა.საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ინვესტორთა საბჭოში.

# საბა ბახია

## ეკონომიკის პროგრამის კურსდამთავრებული

„საქართველოს უნივერსიტეტში მიღებულმა გამოცდილებამ ბევრი რამ მასწვლა. პირველი კურსის დასრულების შემდეგ, სწავლის პარალელურად დავიწყე მუშაობა ბუღალტრის ასისტენტად, რადგან ვთვლიდი რომ მნიშვნელოვანი იყო სწავლასთან ერთად მიმეღო პრაქტიკული გამოცდილებაც. უნივერსიტეტი დამეხმარა, რომ შემეთავსებინა სწავლა და მუშაობა ერთმანეთისთვის, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მეორე კურსის დასრულებისთანავე მოვიპოვე უნივერისტეტის სტიპენდია, რაც დიდი სტიმული იყო იმისთვის რომ სწავლა კარგად გამეგრძელებინა.

საქართველოს უნივერტისტეტში მიღებულმა განათლებამ დიდი როლი შეიტანა ჩემი კარიერის განვითარებაში, რადგან სწორედ ამ უნივერსიტეტის დახმარებით გავიღრმავე ცოდნა და ჩამოვყალიბდი პროფესიონალად.
2018 წელს გადავწყვიტე შემექმნა დემნაგრამი, რომელიც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩემი სამომავლო კარიერისთვის. 2022 წელს გავაფორმე კონტრაქტი ბალენსიაგასთან და დღეს ვმუშაობ მოდის სფეროში ყველაზე წარმატებულ ბრენდთან. დემნაგრამი გახდა არა მარტო პირველი პლატფორმა, რომელსაც დიდმა ბრენდმა გაუფორმა კონტრაქტი არამედ, პირველი მხარდამჭერი პლატფორმა, რომელსაც ინსტაგრამმა ოფიცალურად ვერიფიკაცია მიანიჭა. რა თქმა უნდა, რომ არა დემნას ასეთი მხარდაჭერა ნამდვილად არ ვიქნებოდი იქ, სადაც ახლა ვარ, ამიტომ მე მისი სამუდამო მადლიერი ვარ. დემნა ყველანაირად გვერდში მიდგას და მხარს მიჭერს ჩემს საქმეში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან დააფასა და სწორად დაინახა, ის რასაც მე ვაკეთებ."






ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა გთავაზობთ პროგრამებს, რომლებიც შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

UG-BAS არის ბიზნეს სკოლების ასოციაციის (AACSB) და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლებისა და ინსტიტუტების ქსელის (NISPAcee) ინსტიტუციური წევრი საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართულებით. აღნიშნული ასოციაციების წევრობა ნიშნავს იმას, რომ პროგრამები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. აგრეთვე, სკოლა ამჟამად ერთადერთია საქართველოში, რომელსაც CEEMAN IQA აკრედიტაცია 6 წლის ვადით მიენიჭა.

სკოლა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში, საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში, სემინარებსა და ვორქშოფებში მონაწილეობას, ხელს უწყობს სტუდენტების სამეწარმეო ინიციატივებს და აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს.

# პროგრამები

- **ბიზნესის ადმინისტრირება** (ინგ) (საბაკალავრო/სამაგისტრო)
- **ეკონომიკა** (საბაკალავრო)
- **ტურიზმი** (საბაკალავრო)
- **საჯარო მმართველობა** (საბაკალავრო/სამაგისტრო)
- **ბიზნეს ანალიტიკა** (საბაკალავრო პროგრამა)
- **ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია** (სამაგისტრო პროგრამა)
- **ბიზნესის ადმინისტრირება** (სადოქტორო)

## განათლება გაგამდიდრებს

## ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ეკონომიკის დარგში სიღრმისეული თეორიული ცოდნის მიცემასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროგრამის მიზანია სათანადოდ მოამზადოს სტუდენტები, რათა მათ ფართო არჩევანი ჰქონდეთ კარიერული წინსვლის კუთხით უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იქნება ეს დასაქმება საჯარო ან კერძო სექტორში, თუ სწავლის გაგრძელება საქართველოში ან საზღვარგარეთ. ეკონომიკური დისციპლინების გარდა სტუდენტებს აქვთ კურსების მრავალფეროვანი არჩევანი, პირველ რიგში ფინანსებისა და ბიზნესის ადმინისტრირების განხრით.

## ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი

პროგრამები ქმნის სასწავლო გარემოს, რომელიც მომავალი ლიდერების აღზრდასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. პროგრამების ფარგლებში არსებობს ცენტრი, რომელიც თანამშრომლობს წამყვან კომპანიებთან სხვადასხვა სფეროში და სტუდენტებს აძლევს საშუალებას ჩაერთონ საინტერესო პროექტებში, გაიარონ სტაჟირებები და ჰქონდეთ პირდაპირი შეხება კერძო სექტორთან, რაც მათ სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის. ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩაუღრმავდნენ ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებებს. სამაგისტრო პროგრამის დასრულებისთვის განკუთვილი ორი წელი კი არის გზა წარმატებული მომავლისკენ იმ პრაქტიკული უნარების დაუფლების გზით, რაც მნიშვნელოვანია, რათა სტუდენტმა შეიქმნას კარიერა მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ინდუსტრიებში.

## ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

ორიენტირებულია იმ ცოდნასა და უნარებზე, რომელიც საჭიროა ტურიზმის სფეროში წარმატებული კარიერის შესაქმნელად. სტუდენტები შეისწავლიან ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებს; გაეცნობიან ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებულ ტრენდებს, დამოუკიდებლად დაგეგმავენ და განახორციელებენ ტურებს; მონაწილეობას მიიღებენ სასტუმროს და კვების ინდუსტრიის მართვის პროცესში. პროგრამა ორიენტიერებულია იმ სტუდენტებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიაღწიონ წარმატებულპროფესიულ კარიერას ტურიზმის სხვადასხვა ინდუსტრიებში და განავითარონ საკუთარი ტურისტული ბიზნესი. პროგრამა ზრდის ტურისტულ ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებს, რომლებსაც ექნებათ არა მხოლოდ ტურიზმის სექტორის
სპეციფიკური ცოდნა, არამედ თავისუფლად შეძლებენ დაგეგმონ საკუთარი კარიერული განვითარება ბიზნესის სხვა ინდუსტრიებშიც.

## ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა

მულტიდისციპლინარული მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირებასა და ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად ოპტიმალური გზების მოძიებას. პროგრამაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირების და მათემატიკური მეთოდების კომბინაცია, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ინტერდისციპლინურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებზე დაყრდნობით პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან პროფესიონალს, რომელსაც შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: ბიზნესის მართვის ანალიტიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნეს ანალიტიკოსი, ფინანსური და სტატისტიკური ანალიტიკოსი.

## საჯარო მმართველობის საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამა

გამიზნულია მათთვის, ვისაც სახელმწიფო სამსახურსა და არასამთავრობო სექტორში წარმატებული კარიერა აინტერესებთ. პროგრმა მოიცავს საჯარო მართვის პოლიტიკურ, მენეჯერულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე უახლეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეფორმებს, სახელმწიფო სერვისების განხორციელების გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებს ინოვაციური ხედვისა და ახალი იდეების გენერირების გზით. დღეს საქართველო საჯარო ადმინისტრირების რეფორმისა და განვითარების ეტაპზეა, რაც მმართველობის ძველი სისტემიდან ახალ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ, ღია მმართველობის ფორმების დამკვიდრებასა და სერვისზე ორიენტირებული საჯარო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას გულისხმობს. ქვეყნის განვითარებაში ამ უმნიშვნელოვანესი ცვლილებების წარმატებით განხორციელებას კი სწორედ მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი საჯარო მმართველებისა და საჯარო მოხელეების ახალი თაობა უზრუნველყოფს.



## ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა

HR&DT ამზადებს ქართული და საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნის შესაბამის HR მენეჯერს, რომელსაც აქვს ბიზნესის ხედვა, HR სფეროში მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გამოყენების და ციფრული ინტეგრაციის უნარები.

პროგრამას ახორციელებენ დარგის წამყვანი ექსპერტები და პრაქტიკოსები, რომლებიც თავის უახლეს ცოდნას და გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს.

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამა - HR&DT დაფუძნებულია ნიდერლანდების ინოვაციური ადამიანური რესურსების აკადემიის (AIHR) მიერ შემუშავებულ HR პროფესიონალების ე.წ. T ფორმის კომპეტენციის მოდელზე და ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებაზე, კერძოდ, ბიზნესის ხედვის (Business Acumen), ციფრული ინტეგრაციის (Digital Integration), მონაცემების გამოყენების (Data Literacy) და ადამიანური კაპიტალის უნარების განვითარებაზე.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო ორგანიზაციებში საშუალო თუ მაღალი რგოლის პოზიციებზე, როგორიცაა: HR ბიზნეს პარტნიორი, HR გენერალისტი, HR მენეჯერი, HR ანალიტიკოსი და სხვ. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს კომპეტენცია, რომ განვითარდეს აკადემიური მიმართულებით, გააგრძელოს სწავლა, კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა სადოქტორო საფეხურზე.

## ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

უზრუნველყოფს დოქტორების მიერ შემოქმედებითი გენერაციას, კრიტიკული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნას, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ანალიტიკური უნარების გამომუშავებასა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლებას. პროგრამა ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილის მკვლევარ-მეცნიერს დარგში ახალი მიმართულების ცოდნის შექმნის, გადაცემის, პრობლემის იდენტიფიცირების და მათ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, რომელიც თავსებადია საერთაშორისო და ქვეყნის მოთხოვნებთან.

.



# რესურსები რესურსები

## DISCOVER GEORGIA FOR UG

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ტურიზმის პროგრამა თანამშრომლობს ტურისტულ სააგენტო „Discover Georgia“-სთან. საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე გაიხსნა ტურისტული სააგენტოს ფილიალი: “Discover Georgia for UG”, სადაც დასაქმდებიან და სტაჟირებას გაივლიან ტურიზმის პროგრამის სტუდენტები.

## ევროპის ინოვაციის აკადემიის საზაფხულო პროგრამა

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა წარმატებულ სტუდენტებს უფინანსებს ევროპის ინოვაციის აკადემიის საზაფხულო პროგრამაში მონაწილეობას. ეს პროგრამა აღიარებულია როგორც სამეწარმეო სწავლების საუკეთესო პლატფორმა და შედგენილია მსოფლიო კლასის პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან თანამშრომლობით, რომელთა შორის არიან ბერკლი, სტენფორდი, გუგლი, ამადეუსი და სხვა.

## ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი

სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი, რომლის მიზნია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა აკადემიურ და პრაქტიკული სახის კვლევით პროექტებში. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი არის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში არსებული კიდევ ერთი პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტი.

## კომპიუტერული ლაბორატორია

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც სტანდარტულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ბუღალტრული, ფინანსური და სტატისტიკური პროგრამები. სწავლება ხდება ბუღალტრული სისტემების შემმუშავებელ კომპანიასთან თანამშრომლობით, რაც გულისხმობს სტუდენტების სერტიფიცირებას აღნიშნულ პროგრამებში.

## UG STARTUP FACTORY

სრულიად ახალი ტიპის, მოქნილი ინოვაციების ცენტრი, აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განავითარონ, განახორციელონ და წარმატებულ ბიზნესად აქციონ საკუთარი იდეები. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ინკუბატორებთან და აქსელერატორებთან, პერსპექტიული პროექტების ლოკალურ და საერთაშორისო ბაზარზე გატანის მიზნით. ორგანიზაციის ბაზაზე ასევე, ფუნქციონირებს ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტარტაპების ინოვაციური იდეების კომერციალიზაციას. საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საინვესტიციო ფონდი სტარტაპების დასაფინანსებლად.

StartUP Factory



# ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა



ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა



# ნატო დურგლიშვილი

**საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სრული პროფესორი**

„იმისათვის, რომ ქვეყანაში შევქმნათ ჯანსაღი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, საჭიროა მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს პროფესიონალიზმი, ვისწავლოთ და ვასწავლოთ თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით, ვაწარმოოთ კვლევები, შევქმნათ სიახლე და მტკიცებულებაზე დაფუძნებით განვავითაროთ ადამიანის ჯანმრთელობა, დავიცვათ სიცოცხლე და ვიზრუნოთ მომავალ კეთილდღეობაზე.“

ნატო დურგლიშვილი არის მედიცინის დოქტორი, შპს “კანვენი “კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის ექიმი დერმატო-ვენეროლოგი. საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ანატომია-ფიზიოლოგიისა და დერმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი.

ის  გახლავთ პროფესიული ორგანიზაციების International Union against Sexually Trasmitted Infections (IUSTI), European Academy of Dermatology and Venereology (EADV) და საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი . აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო და საერთაშორისო პროფილაქტიკურ პროგრამებში. აღსანიშნავია მისი ჩართულობა გლობალური ფონდის, აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების კვლევებში. ნატო დურგლიშვილს აქვს ადამიანური რესურსების მართვის, ორგანიზაციული განვითარების, სტუდენტებთან და რეზიდენტებთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში უძღვება სალექციო კურსებს: ადამიანის სხეულის სტრუქტურა და ფუნქცია, პათოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია.

# OMOTAYO ISAAC

**BACHELOR PROGRAM STUDENT OF PHARMACY**

“It is a great privilege for me to study here at the University Of Georgia because of the skilled and competent professors, viable educational and friendly atmosphere as well as excellent university life. Apart from this, it is noteworthy that the School of Health Sciences and Public Health is known for the modern facilities and equipment that ensure practical knowledge and up-to-date approaches that give the students access to contemporary knowledge in the medical sphere.
I love my University and my wonderful friends who study here from around the world.”





## პროგრამები

- **ჯანდაცვის ადმინისტრირება** (საბაკალავრო/სამაგისტრო)
- **საექთნო საქმე** (ქართ/ინგ) (საბაკალავრო)
- **ფარმაცია** (ქართ/ინგ) (საბაკალავრო)
- **ფარმაციის მენეჯმენტი** (სამაგისტრო)
- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა** (სამაგისტრო)
- **ფარმაცია** (სამაგისტრო)
- **სტომატოლოგია** (ინგ) (ერთსაფეხურიანი)
- **მედიცინა** (ინგ) (ერთსაფეხურიანი)
- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა** (სადოქტორო)
- **რეზიდენტურა**

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა იძლევა ინოვაციური მეთოდებით სწავლების, კვლევების ჩატარებისა და თანამედროვე მედიცინის პრაქტიკაში გამოყენების ფართო შესაძლებლობებს. იგი ევროპის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ასოციაციის (EUPHA) წევრია და წარმოადგენს საქართველოს; სკოლა აგრეთვე გაწევრიანებულია ამერიკის ჯანდაცვის ადმინისტრირების საუნივერსიტეტო პროგრამების ასოციაციაში (AUPHA) და საერთაშორისო ფორუმებზე ყოველწლიურად განიხილავს მიღწეულ შედეგებს.

## ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის

ფორმირებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის წამყვანმა სპეციალისტებმა, რომლებიც ცენტრალური ფლორიდისა და სკრენტონის (აშშ, პენსილვანია) უნივერსიტეტებთან თანამშრომლობენ. ჯანდაცვის ადმინისტრატორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მოთხოვნადი პროფესიაა თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ჯანდაცვის მენეჯერი/ადმინისტრატორი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჯანდაცვით ორგანიზაციებში ქმნის პაციენტზე ორიენტირებულ მომსახურების სისტემას, მონაწილეობს კვლევებში, შეუძლია დასაქმება საჯარო დაწესებულებებში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ა.შ.

## საექთნო საქმის (ქართ/ინგ) საბაკალავრო პროგრამა

ცნობილია, რომ საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური მ.შ. საბაკალავრო განათლების მქონე ექთნების მწვავე დეფიციტია. საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული განათლება იძლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში ექთნის პრესტიჟულ პოზიციებზე დასაქმების საშუალებას. ექთან ბაკალავრს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურასა და დარგობრივ დოქტორანტურაში.

საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის პროგრამა შემუშავებულია ევროსაბჭოს დირექტივების, ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) მოთხოვნების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების მიხედვითა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორებთან თანამშრომლობით.

სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად, პროფესიულ უნარ-ჩვევებს იძენენ თანამედროვე, მულაჟებითა და მანეკენებით აღჭურვილ სიმულაციურ ჰოსპიტალსა და ლაბორატორიებში. კვალიფიციური მენტორების ზედამხედველობის ქვეშ კლინიკურ პრაქტიკას გადიან სხვადასხვა პროფილის თანამედროვე საავადმყოფოსა და ამბულატორიულ კლინიკებში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროგრამები, მათ აქვთ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, საკუთარი კვლევისა და შედეგების პროფესიულ დონეზე გაზიარების, საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიის ჯანმრთელობის მეცნიერებების საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნების საშუალება.

## ფარმაციის (ქართ/ინგ) საბაკალავრო პროგრამის

მიზანია კვალიფიციური, პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე ფარმაცევტი ბაკალავრის მომზადება. კურსდამთავრებულს ექნება პაციენტზე ორიენტირებული ფარმაკოთერაპიის, ფარმაციის მიმართულებით კლინიკური კვლევების შედეგების გამოყენების, სამკურნალო საშუალებების წარმოებისა და დამზადების, ფარმაცევტული ანალიზის საბაზისო ცოდნა; მას შეეძლება ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების შესაბამის დონეზე მართვა.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროექტები. პრაქტიკის მიწოდება ხდება ჯი-ემ-პი (GMP) და ავერსის (AVERSI) ფარმაცევტულ საწარმოებსა და კლინიკებში. პროგრამის სტუდენტებს საშუალებააქვთ სათანადო სტატიები გამოაქვეყნონ უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health.“

## ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის

კურსდამთავრებული შეძლებს ფარმაცევტული სფეროს მართვის სახელმწიფო მოდელის ვალიდურობის, ფარმაციის სისტემაზე/ორგანიზაციაზე მოქმედი გარე და შიდა გამოწვევების კვლევას, შეფასებასა და ადმინისტრირებას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროექტები. პრაქტიკის მიწოდება ხდება ჯი-ემ-პი (GMP) და ავერსის (AVERSI) ფარმაცევტულ საწარმოებსა და კლინიკებში, სახელმწიფო ინსტიტუციებში. პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ სათანადო სტატიები გამოაქვეყნონ უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health.“



## საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის

კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა ჯანმრთელობის დეტერმინანტებისა და მათი მართვის შესახებ ადგილობრივ, ქვეყნისა და გლობალურ დონეზე. ის შეძლებს ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავებას, განხორციელების ხელშეწყობასა და მიღწეული შედეგების შეფასებას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროექტები ამერიკის შეერთებული შტატებში, ნორვეგიის, თურქეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

პროგრამაში მოწოდებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა, მათი ბეჭდური და ელ. ვერსიები, ასევე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, საკუთარი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალში.

## ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის

მიზანია ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე თანამედროვე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ადეკვატურად შეეძლება პრაქტიკული და კლინიკური ფარმაციის სფეროში გლობალურ და ადგილობრივ გამოწვევებზე რეაგირება სამედიცინო ფარმაკოლოგიის, კლინიკური ფარმაციისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის, კლინიკური ტოქსიკოლოგიის, პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული ზრუნვისა და სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის, კლინიკური კვლევების სფეროებში. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, საკუთარი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საქართველოს უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health".

პროგრამაში მოწოდებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა, მათი ბეჭდური და ელ. ვერსიები და სამეცნიერო სტატიები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროექტები. პრაქტიკის მიწოდება ხდება ჯი-ემ-პი (GMP) და ავერსის (AVERSI) ფარმაცევტულ საწარმოებსა და კლინიკებში.



## ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის

მიზანია ჯანმრთელობის დაცვის სისტემისთვის მაღალკვალიფიციური ადმინისტრატორების/მენეჯერების მომზადება, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის ზრდას მოსახლეობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით. კურსდამთავრებულს ექნება სიღრმისეული ცოდნა ჯანდაცვის სისტემის, მისი ცალკეული სეგმენტების, ჯანდაცვითი ორგანიზაციების მართვის შესახებ. ის შეძლებს სისტემაზე/ორგანიზაციაზე მოქმედი გარემო და შიდა ფაქტორების შეფასებას, პრობლემების კვლევას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების, გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი ქმედებების შესრულებას. სამაგისტრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს განახორციელოს მაღალი დონის მენეჯერული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის საჯარო და კერძო სამედიცინო დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაზღვევისა თუ ფარმაცევტულ კომპანიებში, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ჯანდაცვით ორგანიზაციებში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროექტები ამერიკის შეერთებული შტატებში, ნორვეგიაში, თურქეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. პროგრამაში მოწოდებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა. ასევე სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, საკუთარი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საქართველოს უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health."

## სარეზიდენტო პროგრამები

სარეზიდენტო პროგრამები განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული მედიკოსებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ ექიმები კონკრეტული სპეციალობის მიმართულებით. პროგრამების მიზანია პროფესიული კადრების მომზადება, სადაც თეორიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხდება პრაქტიკული უნარების სწავლება და განმტკიცება. უმნიშვნელოვანესია თეორიული და კლინიკური კომპეტენციების გამომუშავება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით - დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური უნარების გამოყენება კლინიკური ჩარევის გადაწყვეტილების მიღებისას.
პროგრამა იძლევა მცირე სამეცნიერო კვლევის განხორციელების საშუალებას, რომელიც შესაძლებელია შემდგომში გამოყენებულ იქნას სადოქტორო სამეცნიერო კვლევის ბაზისად.

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში ამოქმედდა სარეზიდენტო პროგრამა - დერმატო-ვენეროლოგია.

## სტომატოლოგიის (ინგ) ერთსაფეხურიანი პროგრამის

მიზანია საერთაშორისო დონეზე თანამედროვე კონკურენტუნარიანი დიპლომირებული სტომატოლოგის გამოშვება. პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე ცოდნის, პრაქტიკული და კლინიკური უნარების მქონე სტომატოლოგების მომზადებას, დასაქმების მაღალი შესაძლებლობებით. სტუდენტები სწავლობენ უნიკალურ სიმულაციურ ლაბორატორიებსა და საუნივერსიტეტო კლინიკებში. ინდივიდუალურ და პოპულაციურ დონეზე აწარმოებენ კვლევებს, აქვეყნებენ სტატიებს. პროგრამა შემუშავებულია საქართველოსა და საერთაშორისო ასოცირებულ პროფესორთა მიერ წამყვან სტომატოლოგებთან ერთად. პროგრამაში მოწოდებულია თანამედროვე, ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა, მათი ბეჭდური და ელ. ვერსიები, ასევე სამეცნიერო სტატიები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, საკუთარი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საქართველოს უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურანლში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health.“

## მედიცინის (ინგ) საგანმანათლებლო ერთსაფეხურიანი პროგრამის

მიზანია მოამზადოს კომპეტენტური, გულისხმიერი, სამართლიანი, გამოცდილი მედიკოსები (ექიმები), რომლებსაც ექნებათ საკუთარი ცოდნისა და უნარების მუდმივი განახლების სურვილი და, რომლებიც მზად იქნებიან შეასრულონ მკურნალის, მზრუნველის, განმანათლებლის, მეცნიერის, უფლებათა დამცველის, ლიდერისა და ა.შ ფუნქციები, რათა ხელი შეუწყონ როგორც ადგილობრივი თემის, ისე გლობალური საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი მიიღებს დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციას. პროგრამაში მოწოდებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა, მათი ბეჭდური და ელ, ვერსიები, ასევე სამეცნიერო სტატიები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, საკუთარი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საქართველოს უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურანლში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health.“

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის

მიზანია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ფართო პროფილის მეცნიერის მომზადება, რომელიც შეძლებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას, არსებულის სტრუქტურულად გააზრებასა და გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ზრდასა და შესაბამისად, გლობალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ის შეძლებს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ჯანმრთელობის დეტერმინანტების კვლევებს, მათი მართვის თანამედროვე მეთოდებით მიღებული შედეგების შეფასებას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსური სასწავლო მოდულების შემუშავებასა და სწავლებას, საზოგადოებრვი ჯანდაცვის სფეროებში სამეცნიერო პროექტების მომზადებასა და მენეჯმენტის უახლესი სტანდარტების შესაბამისად მის განხორციელებას.

პროგრამაში მოწოდებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა, მათი ბეჭდური და ელ. ვერსიები, ასევე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, საკუთარი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ საქართველოს უნივერსიტეტის რეფერირებად ჟურნალში „Caucasus Journal of Health Sciences and Public Health“. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთაშორისო და გაცვლითი პროექტები ამერიკის შეერთებული შტატებში, ნორვეგიის, თურქეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, ტრომსოს ჯანმრთელობის კვლევების ლაბორატორიაში სტუდენტები სარგებლობენ საუკეთესო კომპიუტერული ბაზით, კვლევითი მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზისათვის. საზოგადოებრივი ჯანდაცის სადოქტორო პროგრამაზე მოქმედებს ფოგარტის საერთაშორისო კვლევითი გრანტი გარემოს ჯანმრთელობის მიმართულებით, რომელიც ხორციელდება ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) კოლაბორაციით.



# რესურსები რესურსები

## სიმულაციური ჰოსპიტალი

სიმულაციური ლაბორატორიაა აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო - სასწავლო სიმულატორებით, მულტიფუნქციური მანეკენებითა და სამედიცინო ინვენტარით.
რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში სტუდენტები ეუფლებიან ისეთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: პაციენტის მოვლა, ინფექციები, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ზონდირება, ფილტვისა და გულის აუსკულტაცია, ჭრილობის დამუშავება, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და სხვა. სიმულაციური ჰოსპიტალი მოიცავს სამ ფუნქციურ ნაწილს: სამანიპულაციო, სამეანო-გინეკოლოგიურ და უშუალოდ ჰოსპიტალურს თავისი სასწავლო აუდიტორიით. გამოყენებულია სიმულაციურ პაციენტზე/მანეკენზე მანიპულაცია-პროცედურებისა და დავალების შესრულების როგორც ვიდეო ჩანაწერების, ასევე ონლაინ გადაცემის გზით გარჩევისა და შეფასების პრაქტიკა.

## სიმულაციური აფთიაქი

წარმოადგენს ფარმაცევტული პროგრამის სიმულაციურ ბაზას.  აქ სრულდება სიტუაციური ამოცანები და ირჩევა კლინიკური ქეისები, რაც პრაქტიკულად ხორციელდება როლური (ფარმაცევტი -პაციენტი, ფარმაცევტი - ექიმი - პაციენტი, ფარმაცევტი - ექიმი - ჯანდაცვის სპეციალისტი და სხვა) თამაშების შესრულებით. სტუდენტები ადგენენ ფარმაცევტულ ქეისს, რაც მოიცავს მედიკამენტურ თერაპიას, სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდებას, ფარმაცევტული კომპიუტერული პროგრამების ცოდნას და გამოყენებას. აქვე ხდება ფარმაცევტული ქეისის განხილვა და შეფასება.

## ფიზიკური მედიცინის ლაბორატორია

კლინიკის მიზანია პროფესიონალთა მიერ, სხვადასხვა აღდგენითი და გამაჯანსაღებელი პროცედურების მეშვეობით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება. კლინიკაში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიიღონ პრაქტიკული ცოდნა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში.

## UG რეავიტა-დენტი

სკოლის ბაზაზე თანამედროვედ აღჭურვილი სტომატოლოგიური კლინიკა-“UG რეავიტა-დენტი” ფუნქციონირებს, რომელიც სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტდებს პრაქტიკულ ცოდნას და სამედიცინო უნარ-ჩვევების განვითარებას სთავაზობს. “UG რეავიტა-დენტი” ორიენტირებულია შექმნას სამეცნიერო-სასწავლო კვლევითი ბაზა და მიაწოდოს მოსახლეობას დასავლური სტანდარტების სტომატოლოგიური მომსახურება. UG რეავიტა-დენტი ასევე მუშაობს სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი, სადიაგნოსტიკო-სამკურნალო და სასწავლო მიმართულებით.

## სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორია

წარმოადგენს მულტიპროფილურ სტომატოლოგიურ სიმულაციურ პრაქტიკულ ლაბორატორიას, სადაც პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და განვითარებისთვის გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები. სტუდენტები სპეციალიზებულ მანეკენებზე უშუალოდ ეცნობიან სტომატოლოგიური მომსახურების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, მუშაობენ მრავალფუნქციურ სტომატოლოგიურ მაგიდებთან და მოწყობილობებთან, რაც საშუალებას აძლევთ გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები თერაპიული, ორთოპედიული, ქირურგიული და ორთოდონტული სტომატოლოგიის მიმართულებით.

## ჯანმრთელობის კვლევების ინსტიტუტი

სადაც ტარდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, საექთნო საქმის, ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მედიცინის დარგობრივი კვლევები. საქართველოს უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკა, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით წარმოებს სამკურნალო სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება.

## ოსკის/OSCE დარბაზი

წარმოდგენილია როგორც თანამედროვე მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილური საგამოცდო ცენტრი, რომელშიც შექმნილია შესაბამისი გარემო პრაქტიკული უნარების ობიექტური და სტრუქტურიზებული გამოცდებით შეფასებისთვის. აღჭურვილია სათანადო მულაჟებითა და ფანტომებით, სამედიცინო და ვიდეო ონლაინ აპარატურით. სტანდარტიზირებული პაციენტების მეშვეობით იქმნება რეალურ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული კლინიკური გარემო, სადაც მენტორებისა და პროფესურის მიერ ერთობლივად ფასდება სტუდენტის მიღწევები.

## ლაბორატორიები

ადამიანის სხეულისა და ფუნქციის, ფარმაციის სასწავლო-სამეცნიერო,  ფიზიოლოგიის ტექნოლოგიური, ციტოლოგია-ჰისტოლოგიის, ნევროლოგია-ფიზიოლოგიის ექსპერიმენტული, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, პირველადი ქირურგიული და გადაუდებელი დახმარების, დამოუკიდებელი მუშაობის, ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის კვლევითი კომპიუტერიზირებული ლაბორატორია შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამებით და სხვა ლაბორატორიებით, რომლებიც შესაბამისად აღჭურვილია სინათლისა და ელექტრონული მხარდაჭერის მიკროსკოპებით, თანამედროვე მულაჟებით, 3D ანატომიური მაგიდითა და ტრანსლირების პროგრამებით, მრავალფუნქციური ნორმალური და პათოლოგიური პროცესების სიმულატორებით სათანადო ციფრული მხარდაჭერის შესაძლებლობებით და სხვა მაღალტექნოლოგიური საშუალებებით.

## სამედიცინო თეატრი

მოწვეული მსახიობების მიერ წარმოებს სამედიცინო ქეისებზე დაფუძნებული სიტუაციური სცენების/ამოცანების დადგმა მედიცინის მიმართულებით, მსახიობები ახდენენ სხვადასხვა დაავადების სიმულაციას, ხოლო მისი დიაგნოსტირება ხდება სტუდენტების მიერ.

# საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები

## საერთაშორისოდ აღიარებული

ბოლონიის პროცესის მონაწილე, საქართველოს უნივერსიტეტი აღიარებული უნივერსიტეტია როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს უნივერსიტეტის სხვადასხვა პროფილის ინგლისურენოვანი პროგრამები აღიარებულია როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების ოფიციალური სტრუქტურების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (მაგ: უნივერსიტეტი ფლობს ირანისა და თურქეთის განათლების სამინისტროს, ინდოეთის სამედიცინო საბჭოს, საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და სხვა მრავალი საერთაშორისო სტრუქტურის აღიარებებს).

საქართველოს უნივერსიტეტი ასევე არის ენიკ-ნარიკის წევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ENIC- EUROPEAN NETWORK OF INFORMATION CENTERS IN THE EUROPEAN REGION; NARIC- NATIONAL ACADEMIC RECOGNITION INFORMATION CENTERS IN THE EUROPEAN UNION).

## გაცვლითი პროგრამები

საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან და სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ერთი სემესტრით ან ერთი წლით. ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს ერაზმუს მუნდუსის, ერაზმუს პლიუსისა და ინდივიდუალური თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამები.

## საერთაშორისო პროექტები

საქართველოს უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სახის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, მათ შორისაა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა ტემპუსი, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში.

Erasmus+



# პარტნიორი უნივერსიტეტები

| | |
|---|---|
| Sapienza University of Rome | Italy |
| Katowice University of Economics | Poland |
| Pope John Paul II State School of Higher Education in Biala Podlaska | Poland |
| Alexandru Ioan Cuza University of Iasi | Romania |
| Polytechnic Institute of Beja | Portugal |
| International University Travnik | Bosnia and Herzogovina |
| Kufstein Tirol University of Applied Sciences | Austria |
| Dimitrie Cantemir Christian University | Romania |
| Girne American University | Turkey |
| Sustainable Development Management Institute | France |
| Yeditepe University | Turkey |
| Carmel College | Israel |
| Acibadem University | Turkey |
| Transilvania University of Brasov | Romania |
| Saarland University | Germany |
| University of Lodz | Poland |
| Linnæus University | Sweden |
| National Aviation University | Ukraine |
| Romanian-American University | Romania |
| Università degli Studi di Torino | Italy |
| European Humanities University | Lithuania |
| Kaunas University of Technology | Luithuania |
| Bucerius Law School Hamburg | Germany |
| Biruni University | Turkey |
| Payame Noor University | Iran |
| Vytautas Magnus University | Lithuania |
| Gdansk University of Technology | Poland |
| Yaroslav Mudryi National Law University | Ukraine |
| University of Mohaghegh Ardabili | Iran |
| Shomal University | Iran |
| The Buntain School of Nursing of Northwest University | USA |
| Tomas Bata University in Zlín | Czech Republic |
| State University of New York | USA |
| City of London College | UK |
| University of New York in Prague | Czech Republic |
| Riga Technical University | Latvia |
| SMK University of Applied Social Sciences | Lithuania |
| National Academy of Sciences Institute of Oriental Studies | Azerbaijan |
| Romualdo del Bianco | Italy |
| Institute for Nuclear Research | Russia |
| University of Trnava | Slovakia |
| University of Alcala | Spain |
| Stephano Moshi Memorial University College | Tanzania |
| Fatih University | Turkey |
| The Library of Alexandria | Egypt |
| The Academy of Business in Dabrowa Gornicza | Poland |
| Kazimieras Simonavicius University | Lithuania |
| Alfred Nobel University | Ukraine |
| University of Sassari | Italy |
| Nikolaevsky University of Humanities | Ukraine |
| Persian Gulf University | Iran |
| Suleyman Demirel University | Kazakhstan |
| Kütahya Dumlupınar University | Turkey |
| California Baptist University | USA |
| AP University College of Antwerp | Belgium |
| Western caspian university | azerbaijan |
| Univeristy of Oradea | Romania |
| University of Economics - Varna | Bulgaria |
| Haceteppe University | Turkey |
| Lithuanian University of Health Sciences | Lithuania |
| Pavol Josef Safarik University | Slovakia |
| European Humanities Univeristy | Lithuania |
| Altınbaş University | Turkey |
| Cherkasy University | Ukraine |
| Istanbul Ayidin University | Turkey |
| Northweast University | USA |
| UiT The Arctic University of Norway | Tromso |
| Heidelberg University | Germany |
| University of Central Florida | USA |
| Istinye Universitesi | Turkey |
| Tufts University, School of Dental medicine | USA |
| Yeditepe Universitesi | Turkey |
| Acibadem Universitesi | Turkey |
| Medipol Universitesi | Turkey |
| The University of Scranton | USA |
| Duquesne University | USA |



# ბიბლიოთეკა

საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო-სამეცნიერო ლიტერატურის მდიდარ არჩევანს. ბიბლიოთეკაში ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული წიგნები, ჟურნალები და შემდეგი საინფორმაციო-საძიებო სისტემები:

# წიგნების მაღაზია

საქართველოს უნივერსიტეტის წიგნების მაღაზიაში სტუდენტებს შეუძლიათ შეიძინონ არა მარტო უნივერსიტეტის სტამბაში დაბეჭდილი ქართული, არამედ უცხოური სახელმძღვანელოებიც. წიგნების მაღაზიას მჭიდრო და ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს PEARSON-ის გამომცემლობასთან, რომელიც უნივერსიტეტს უახლეს ლიტერატურას აწვდის.

EBSCO CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS JSTOR HINARI Research in Health





# ზღვაა საკითხავი

# კარიერული სერვისები

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლაზე სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ზრუნავს. გვჯერა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წარმატება და მათი მაღალი დონის პროფესიონალიზმი განპირობებულია არა მხოლოდ უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური სტანდარტებით, არამედ სტუდენტთა კარიერული წინსვლისათვის მიმართული ძალისხმევითაც.

დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი სათუთად ეკიდება თითოეული სტუდენტის კარიერული წინსვლის პერსპექტივას იმისათვის, რომ ჩვენმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მიაღწიონ წარმატებას და დასაქმების ადგილიდან ასახელონ საკუთარი უნივერსიტეტი. კარიერული სერვისების თვალსაზრისით სტუდენტებისა და კურსდამთვრებულებისათვის ხელმისაწვდომია სისტემატიური ტრენინგები, დასაქმების ფორუმები, ინდივიდუალური კონსულტაციები, ექსკლუზიური სიახლეები მიმდინარე ვაკანსიების შესახებ და სხვა.




## კურსდამთავრებულთა 96% დასაქმებულია

საქართველოს უნივერსიტეტის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სრულყოფილად ამზადებს იმისათვის, რომ მათ თავდაჯერებულად იგრძნონ თავი კონკურენტულ გარემოში. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთვრებულები შრომით ბაზარზე მოწინავე რიგებს იკავებენ. დასაქმების ხელშეწყობის სამსახური ყოველთვის მზადაა ხელი შეუწყოს ჩვენი სტდუენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლას.



# სტუდენტური ცხოვრება

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბებას, არსებული კლუბების აქტიურ საქმიანობას, სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას და ღონისძიებების ორგანიზებას მრავალფეროვანი, საინტერესო და დაუვიწყარი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით.

ამ ინოვაციური სტრუქტურით, საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს უნიკალური - სტუდენტური კლუბების სისტემა. კონკრეტულად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაერთიანდნენ საერთო ინტერესის ირგვლივ და ჩამოაყალიბონ სტუდენტური კლუბი, რომლის მეშვეობით ისინი ახდენენ მათთვის საინტერესო თემების პოპულარიზაციას, აწყობენ ღონისძიებებს და ა.შ. ამ ყველაფრის განსახორციელებლად, ისინი წერენ პროექტებს უნივერსიტეტის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ეს სისტემა, სტუდენტებს საშუალებას აძლევს განავითარონ პროფესიული უნარები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ პროექტის ჩამოყა-ლიბებისა და განხორციელების პროცესს, საჭირო რესურსების მართვას და ა.შ.

საქართველოს უნივერსიტეტში არსებობს უკვე დამკვიდრებული სტუდენტური კლუბები, რომლებიც მომავალ თაობებს გადასცემენ ესტაფეტას. სტუდენტური კლუბების განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა, გარდა სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებისა, იმაში მდგომარეობს, რომ მათი მეშვეობით, სტუდენტებს საშუალება აქვთ იმსჯელონ გლობალურ თემებზე, გაიღრმავონ ცოდნა და რაც მთავარია-დაამკვიდრონ სწორი ღირებულებები და ჩამოყა-ლიბდნენ განათლებულ, პროგრესულ და ქმედითუნარიან პიროვ-ნებებად.










# სპორტი სპორტი

საქართველოს უნივერსიტეტი ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიური მხარდამჭერია და სპორტისა და ფიტნესის უახლეს ინფრასტრუქტურას სთავაზობს სტუდენტებს.

უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია ღია და დახურული სპორტული მოედნები, და ჩოგბურთის კორტები.

- ფეხბურთი
- ჩოგბურთი
- კალათბურთი
- ფრენბურთი
- რაგბი









## საქართველოს უნივერსიტეტი ჯანსაღი ცხოვრების აქტიური მხარდამჭერია

# საქართველოს უნივერსიტეტი აბიტურიენტებისთის

ღია კარის დღე

ინდივიდუალური ტური

ტრენინგები აბიტურიენტებისთვის

პროფესიების კვირეული

იმიტირებული გამოცდები

ღია ლექციები

სტაჟირება აბიტურიენტებისთვის

უფასო სწავლის გათამაშება

ლიტერატურული კონკურსი “ფოლიო”

UG ბანაკები

# საქართველოს უნივერსიტეტი

# საქართველოს უნივერსიტეტი


**#თუსწავლაგინდა**


#თუსწავლაგინდა

#თუსწავლაგინდა

#თუსწავლაგინდა

#თუსწავლაგინდა


**✓121**


მ.კოსტავას ქუჩა 77ა
თბილისი 0171, საქართველო

032 2 55 22 22


THE UNIVERSITY OF GEORGIA

THE.UNIVERSITY.OF.GEORGIA

THE UNIVERSITY OF GEORGIA

**WWW.UG.EDU.GE**


# საქართველოს უნივერსიტეტი

# საქართველოს უნივერსიტეტი